ე.ბ) მონო-, ან პოლირეზისტენტული ტუბერკულოზის შემთხვევის მკურნალობის პროცესში მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის განვითარებისას, პაციენტი მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობაში ჩაერთვება ურიგოდ.

ე.გ) პაციენტები, რომელთაც საქართველოს ფარგლებს გარეთ დაწყებული აქვთ, ან აგრძელებენ შესაბამის მკურნალობას ქვეყნის შიგნით რეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობაში უნდა ჩაერთონ მკურნალობის ეტაპის შესაბამისად.

5. პაციენტის მკურნალობაში ჩართვამდე უნდა შეფასდეს სტაციონარიდან გამოწერის შემდეგ ამბულატორიულ პირობებში პაციენტის მკურნალობის გაგრძელების შესაძლებლობა;

6. ამბულატორიულ ფაზაში მკურნალობის ჩატარების შეუძლებლობა პრობლემების მოგვარებამდე შეიძლება მიზეზი გახდეს მკურნალობაში ჩართვის გადავადებისა.

მუხლი 3. რეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობაში პაციენტთა ჩართვის რიგის მართვის პრინციპები:

ა) შეზღუდული რესურსების გამო, ვერ ხერხდება ყველა რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტის მკურნალობაში ჩართვა. სამართლიანობისა და



გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად საჭიროა მკურნალობაში ჩართვის მსურველთა რიგის წარმოება;

ბ) რიგში ჩაერთვებიან წამლებისადმი რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებული ტუბსაწინააღმდეგო ქსელში რეგისტრირებული პირები, რომელთა I და II რიგის ანტიტუბერკულოზურ მედიკამენტებისადმი მგრძნობელობის ტესტის შედეგი ცნობილია;

გ) რეკომენდებულია რიგი შეიქმნას მეორე რიგის ანტიტუბერკულოზური მედიკამენტებისადმი მგრძნობელობის ტესტის შედეგების მიღების ქრონოლოგიის მიხედვით;

2008 წელს ფტიზიატრიული სტაციონარული დახმარების კომპონენტის ბიუჯეტი განისაზღვრა 5 823 200 ლარით.

ფტიზიატრიული დახმარების კომპონენტით 2008 წლის განმავლობაში ხორციელდებოდა:

ფტიზიატრიული ამბულატორიული დახმარების კომპონენტი და ფტიზიატრიული სტაციონარული დახმარების კომპონენტი.

ანაზღაურების ერთეულს წარმოადგენს საწოლ/დღე, რომლის ღირებულება რეგიონებში შეადგენს 14 ლარს (კვების ჩათვლით), ხოლო ქ. თბილისში საწ/დღე – 20 ლარს (კვების ჩათვლით), MDR-ის შემთხვევაში 21 ლარი, ქირურგიული მკურნალობისათვის შემთხვევის გასაშუალოებული ღირებულებაა 3 220 ლარი.

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირებულ შემთხვევათა რაოდენობა მოწოდებულია ცხრილით.

წელი	რეფერენს კონტრ.	DOTსოც. მკურვ.სა	სუპერ-ვიზაცია	ამბ. შემთხვ.	რეზისტული	სტაციონარ. შემთ.	ქირურგ. სტაციონარ.
2008წ	1 541	7 377	175	46 681	12 368 ს/დღე	106 857 ს/დღე	90

ბავშვთა სტაციონარული სამედიცინო დახმარების სახელმწიფო კომპონენტი 2008 წელს მოიცავს:

- 0-15 წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარულ მკურნალობას;

- 0-15 წლამდე ასაკის ბავშვთა გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას.

- მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისა და იშვიათი დაავადებების მქონე, მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებული 0-15 წლამდე ასაკის მოსახლეობის მკურნალობას;

- ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური დახმარება

საანგარიშო პერიოდში შემთხვევათა რაოდენობის განაწილება ქვეკომპონენტების მიხედვით საქართველოს მასშტაბით მოცემულია ცხრილში:

წელი	0-3წ 3-15წ	გადაუდ. დახმარება	ნეონატ	ჩანაცვლ. თერაპია	ონკოჰემ
2008 9 თვე	61 862	9 043	1 891	3 135	589

2008 წლის საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა 76 530 შემთხვევა.

ინფექციურ დაავადებათა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა.

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია:

- ა) მოსახლეობაში გადამდებ დაავადებათა სტაციონარული მკურნალობის ხელმისაწვდომობის გაზრდა დაავადებათა გავრცელების შემცირების მიზნით;
- ბ) ინფექციურ დაავადებათა გართულებების პრევენცია და სიკვდილიანობის შემცირება.

მუხლი 2. პროგრამის ამოცანები

პროგრამის ამოცანებია:

- ა) ინფექციური დაავადებების მქონე ავადმყოფთა უზრუნველყოფა დროული და მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარებით;
- ბ) ინფექციური დაავადებების მქონე ავადმყოფთა ჰოსპიტალიზაცია, ქრონიზაციის შემცირება.

მუხლი 3. კომპონენტები და მომსახურების მოცულობა

- 1. პროგრამა ხორციელდება ორ კომპონენტად.
- 2. პირველი კომპონენტია ინფექციური დაავადებების მქონე ავადმყოფთა სტაციონარული დახმარების კომპონენტი, რომელიც მოიცავს:

- ა) დიაგნოსტიკურ მომსახურებას:
 - ა.ა) პაციენტის მდგომარეობის სიმძიმის შეფასებას;
 - ა.ბ) პროფილური მომსახურების განსაზღვრას;
 - ა.გ) საჭიროების მიხედვით კლინიკო-ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევების ჩატარებას;
 - ა.დ) საჭიროების მიხედვით სპეციალისტების კონსულტაციებს;

- ბ) სტაციონარულ მკურნალობას:
 - ბ. ა) გადაუდებელ მომსახურებას (რეანიმაცია);
 - ბ.ბ) სპეციალიზირებულ განყოფილებაში პროფილურ სტაციონარულ მომსახურებას.



3. მეორე კომპონენტია ეპიდაფეთქებების დროს ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტი.

მუხლი 4. პროგრამის მოსარგებლები

1. ინფექციური დაავადებების მქონე ავადმყოფთა სტაციონარული დახმარების კომპონენტის მოსარგებლები არიან საქართველოს მოქალაქეები:

2. ეპიდაფეთქებების დროს ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტის მოსარგებლები არიან საქართველოს მოქალაქეები, ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები უცხოელები და საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირები ("უცხოელი" განიმარტება "უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი მნიშვნელობით).

3. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

მუხლი 5. მომსახურების შესყიდვა და განხორციელების მექანიზმები

1. პროგრამას ახორციელებენ საქართველოში ლიცენზირებული ინფექციური პროფილის სამედიცინო დაწესებულებები.

2. ხელშეკრულების პირობებს, ანგარიშსწორების ფორმებსა და წესს განსაზღვრავს სააგენტო და ინფორმაციის სახით წარუდგენს სამინისტროს.

მუხლი 6. დაფინანსების მეთოდოლოგია

1. მომსახურება ჯგუფდება კატეგორიების მიხედვით და ფინანსდება ნოზოლოგიური ჯგუფისათვის დადგენილი საშუალო ღირებულებით.

2. ნოზოლოგიური ჯგუფების ს აშუალო ღირებულებები და პროგრამის მოსარგებლების მიერ ასანაზღაურებელი თანაგადახდის მოცულობა განისაზღვრება შემდეგი ცხრილის მიხედვით:

ნოზოლოგია	ღირებულება	თანაგადახდა		
		18წლამდ ე (20%)	18დან-60მდ ე (50%)	60-ისზემოთ (30%)
ინფექცია				
კრიტიკული (5 დღე) //3 წლამდე ასაკის პირებისათვის უფასო//	740	148	370	222
კრიტიკული (12 დღე) //3 წლამდე ასაკის პირებისათვის უფასო//	1680	336	840	504
ნაწლავთა ინფექციები	360	72	180	108
მწვავე ვირუსული ჰეპატიტი	480	96	240	144
ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი (სპეც.მედიკამენტების გარეშე)	720	144	360	216
ნეიროინფექციები (ბაქტერიული)	880	176	440	264
ნეიროინფექციები (ვირუსული)	480	96	240	144
ანთებითი პოლინეიროპათიები	1200	240	600	360
სხვა ვირუსული ინფექციები	380	76	190	114
სხვა ბაქტერიული ინფექციები	580	116	290	174
სეფსისი				
უცნობი წარმოშობის ცხელება (ღ50)	442	88.4	221	132.6
სეფსისი მოზრდილთა	2150	430	1075	645
სეფსისი ბავშვთა	870	174	-	-
მძიმე სეფსისი მოზრდილთა	3420	684	1710	1026
მძიმე სეფსისი ბავშვთა	1700	340	-	-
კრიტიკული - პირველი 3 დღე	1950	390	975	585
ქირურგიული მკურნალობა	3025	605	1512.5	907.5
პარაზიტოლოგია				
პარაზიტოლოგია (სტაციონარი)	1200	240	600	360

3. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ წარმოებულ, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირების, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ტოლია ან ნაკლებია 70 000-ზე, მომსახურების ღირებულება ანაზღაურდება სრულად.

4. 3 წლამდე ასაკის ბავშვთა კრიტიკული მდგომარეობების მომსახურება ანაზღაურდება სრულად.

მუხლი 7. პროგრამის ბიუჯეტი

“ინფექციურ დაავადებათა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამისათვის” 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები განისაზღვრა 2 121 000 ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:



კომპონენტი	თანხა (ლარებში)
ინფექციური დაავადების მქონე ავადმყოფთა სტაციონარული დახმარების კომპონენტი	2 051 000
ეპიდაფეთქებების დროს ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტი.	70 000
სულ	2 121 000

2008 წლის სტაციონარული დახმარების სახელმწიფო პროგრამის ინფექციურ დაავადებათა მკურნალობის კომპონენტის ფარგლებში ხორციელდებოდა:

ინფექციური პათოლოგიის მქონე პაციენტთა სტაციონარული მომსახურება, ეპიდაფეთქებების დროს ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურება.

2008 წლის ბიუჯეტი შეადგენს 2 121.0 ათას ლარს, რომელიც პროგრამით განსაზღვრულ დონისძიებებზე შემდეგნაირად განაწილდა:

1. ინფექციური დაავადებით შეპყრობილ ავადმყოფთა სტაციონარული მომსახურება 2 051 000 ლარი.

2. ეპიდაფეთქებების დროს ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა – 70 000 ლარი.

ანაზღაურება ხორციელდება ნოზოლოგიური ჯგუფისათვის დადგენილი საშუალო ღირებულებით, ცალკეულ ნოზოლოგიებზე გათვალისწინებულია თანაგადახდა: ქრ. ჰეპატიტების მკურნალობა ითვალისწინებს 25%-იან თანაგადახდას (თანაგადახდა არ ეხება 15 წლამდე ასაკის ბავშვებს), პარაზიტულ დაავადებათა მკურნალობა ითვალისწინებს 20%-იან თანაგადახდას პაციენტის მხრიდან. (თანაგადახდა არ ეხება 3 წლამდე ასაკის ბავშვებს).

საანგარიშო პერიოდში საქართველოში დაფიქსირდა 6 804 შემთხვევა.

რაც შეეხება საანგარიშო პერიოდში ხშირ ნოზოლოგიებს, საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა შემდეგი ხშირი ნოზოლოგიები: ინფექცია (სტაციონარი) 4 942 შემთხვევა, ინფექცია ჰეპატიტი (სტაციონარი) 573 შემთხვევა, ამეზიაზი (ამბულატორია) 410 შემთხვევა, ჰეპატიტი (ამბულატორია) 416 შემთხვევა. სეფსისი (სტაციონარი)

სამიანო მომსახურების სახელმწიფო პროგრამა

2008 წელის სახელმწიფო პროგრამით აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში ხორციელდება:

- ანტენატალური მეთვალყურეობა;
- ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგი ფენილკეტონურიასა და ჰიპერფენილალანინემიაზე
- მაღალი რისკის ორსულთა და მელოგინეთა მკურნალობა პროგრამის ბიუჯეტი განსაზღვრულია 4 437 000 ლარით.

ანტენატალური მეთვალყურეობა მოიცავს 4 სავად-დებულო ვიზიტს შესაბამისი თანხებით: რომელიც საანგარიშო პერიოდში ჩატარდა: პირველი ვიზიტი – 37 176 (32 ლარი), მეორე ვიზიტი 25 488 (9 ლარი), მესამე ვიზიტი – 27 170 (7 ლარი), მეოთხე ვიზიტი – 25 181 (7 ლარი).

გარდა ვიზიტებისა დაფიქსირდა 28 243 ტესტირებული კვლევის შემთხვევები.

ორბანოთა და ქსოვილთა ტრანსპლანტაციის და თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამა

ორგანოთა და ქსოვილთა ტრანსპლანტაციისა და თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

მუხლი 2. პროგრამის ამოცანა

პროგრამის ამოცანაა:

- ა) თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულთა უზრუნველყოფა ჰემოდიალიზით, პერიტონეული დიალიზით.
- ბ) თირკმლის ტრანსპლანტაციის ჩატარება პროგრამის მოსარგებლებებისათვის.

მუხლი 3. პროგრამის მოსარგებლები

1. პროგრამის მოსარგებლები არიან თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებული საქართველოს მოქალაქეები, რომელთაც ესაჭიროებათ თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის ჩატარება.
2. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

მუხლი 4. პროგრამის კომპონენტები და მომსახურების მოცულობა

კომპონენტი	მომსახურების მოცულობა
1. ჰემო და პერიტონეული დიალიზით უზრუნველყოფა	ა) ნეფროლოგის კონსულტაცია ბ) სადიალიზე საშუალებებით/მასალით უზრუნველყოფა გ) მედიკამენტებით უზრუნველყოფა დ) კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევები საჭიროების მიხედვით ე) სისხლძარღვოვანი მიდგომის უზრუნველყოფა
2. თირკმლის ტრანსპლანტაცია	თირკმლის გადანერგვის ოპერაცია

მუხლი 5. პროგრამის დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების წესი

1. ჰემოდიალიზის სეანსის ღირებულება შეადგენს 120 ლარს.
2. პერიტონეული დიალიზის ერთი სეანსის ღირებულება შეადგენს 12.5 ლარს
3. ჰემო და პერიტონეული დიალიზის სეანსების რაოდენობა განისაზღვრება დამტკიცებული კლინიკური პრაქტიკის ნაციონალური რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და

დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) მიხედვით.

4. სისხლძარღვოვანი მიდგომის ფასი განისაზღვრება შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	ინტერვენცია	ღირებულება
1.	ჰემოდიალიზისათვის არტერიო-ვენური სადიალიზო ფისტულის ფორმირება პროთეზის გამოყენებით	1 700.0
2.	ჰემოდიალიზისათვის არტერიო-ვენური სადიალიზო ფისტულის ფორმირება წინამხარზე	550.0
3.	ჰემოდიალიზისათვის არტერიო-ვენური სადიალიზო ფისტულის ფორმირება მხარზე	450.0
4.	თრომბოზით გართულებული არტერიოვენური სადიალიზო ფისტულა თრომბექტომიით	370.0
5.	კვინტონის გრძელვადიანი კათეტერის იმპლანტაცია	650.0

1. ტრანსპლანტაციის ერთი ოპერაციის ღირებულება შეადგენს 19 995.6 ლარს.

მუხლი 6. პროგრამის მომსახურების შესყიდვა და განხორციელების მექანიზმები

1. მომსახურების შესყიდვა ხორციელდება “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

2. ხელშეკრულების პირობებს, ანგარიშსწორების ფორმებსა და წესს, სატენდერო პირობებს განსაზღვრავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება “ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო” (შემდგომში – “სააგენტო”) და ინფორმაციის სახით წარუდგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში – “სამინისტრო”).

“საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 15 748.5 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის მიხედვით:

№	ორგანოთა და ქსოვილთა ტრანსპლანტაციისა და თირკმლი ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამა	ბიუჯეტი (ათას ლარებში)
1.	ჰემო და პერიტონეული დიალიზით უზრუნველყოფა	15 458.6
2.	სისხლძარღვოვანი მიდგომის უზრუნველყოფა	50.0
3.	თირკმლის ტრანსპლანტაცია	239.9
	სულ	15748.5

პროგრამის ბიუჯეტის ფარგლებში, მოსარგებლეთა ინტერესებიდან გამომდინარე, დასაშვებია კომპონენტებს შორის საბიუჯეტო ასიგნებების გადანაცვლება.

დანართი №1.1

პროგრამულ დიალიზზე პაციენტთა ჩართვის ინსტრუქცია

1. ეს ინსტრუქცია ადგენს პაციენტთა პრედიალიზზე და შემდგომ დიალიზზე აყვანის პროცედურას:

ა) პრედიალიზზე აყვანას ექვემდებარებიან თირკმლის ქრონიკული დაავადების III, IV, V სტადიის მქონე ავადმყოფები შემდეგი ნეფროლოგიური დაავადებით:

ა.ა) პირველადი ქრონიკული გლომერულონეფრიტები: ერგე-ს დაავადება, ექსტრამემბრანული გლომერულონეფრიტი, სეგმენტური და ფოკალური ჰიალინოზი, ქრონიკული პროლიფერაციული გლომერულონეფრიტი

ა.ბ) მეორადი ქრონიკული გლომერულონეფრიტები: დიაბეტური ნეფროპათია, ამილოიდოზი, სისტემური დაავადებები, ჭეგენერ-ის დაავადება, ოოდპასტურე-ს სინდრომი, პოსტინფექციური გლომერულონეფრიტი, ჰემოლიტიკო-ურემიული სინდრომი.

ა.გ) ჰიპერტენზია და ნეფროანგიოსკლეროზი

ა.დ) ქრონიკული ინტერსტიციალური ნეფროპათია: ქრონიკული პიელონეფრიტი, შარდ-კენჭოვანი დაავადება (ნეფროკალცინოზი, ცისტინოზი, ოქსალოზი), მედიკამენტური ნეფროპათია (ანტიბიოტიკები, ანალგეზიური და ნეფროტოქსიური პრეპარატები), უროლოგიური დაავადებით გამოწვეული ნეფროპათიები.

ა.ე) თანდაყოლილი დაავადებები: თირკმლის ჰიპოპლაზია და დისპლაზია, თირკმლის პოლიცისტური დაავადებები, ლპორტ-ის სინდრომი, აბრყ-ს დაავადება და სხვა.

ა.ვ) უცნობი ეტიოლოგიის ნეფროპათიები.

ბ) პრედიალიზზე აყვანას არ ექვემდებარებიან პაციენტები შემდეგი დაავადებებით:

ბ.ა) ავთვისებიანი სიმსივნეები, ავთვისებიანი სიმსივნეები მეტასტაზებით, მათ შორის მრავლობითი მიელომა;

ბ.ბ) გულის რთული დეკომპენსირებული მანკები, სხვა გულის ორგანული დაავადებები გართულებული გულის უკმარისობის IIბ, III სტადიით;

ბ.გ) სასუნთქი სისტემის დაავადებები გართულებული პნევმოსკლეროზითა და რესპირატორული უკმარისობით (დეკომპენსირებული სტადია)

ბ.დ) ღვიძლის ციროზი (III და IV სტადია)

ბ.ე) ფსიქიური დაავადებები დაბალი ინტელექტით.

გ) პირველადი პაციენტის პრედიალიზზე აყვანისას:

გ.ა) სათანადო პროფილური განყოფილების მკურნალი ექიმის მიერ ივსება ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა №IV-100/ა), იხსნება პაციენტის სამედიცინო ბარათი (ფორმა №IV-001/ა), რომელშიც მითითებული იქნება ქრონიკული დაავადების სტადია და თანმხლები დაავადებები;

გ.ბ) ფორმა №IV-100/ა-სა და ფორმა №IV-001/ა-ს საფუძველზე ხდება პაციენტის რეგისტრაცია.

2. პროგრამაში ჩართვა ხორციელდება გამონთავისუფლებულ ადგილებზე პრედიალიზის სიიდან, უპირატესობა ენიჭებათ 18 წლამდე ასაკის პაციენტებს.

პროგრამა ითვალისწინებს თირკმლის ტერმინალური სტადიით დაავადებულთა სრულფასოვან ჰემო და პერიტონეული დიალიზით უზრუნველყოფას, თირკმლის ქრონიკული უკმარისობის ტერმინალური სტადიის მქონე პაციენტთა მაღალტექნოლოგიური ქირურგიული მკურნალობას ათი მოსარგებლისათვის.

ჰემოდიალიზის დაფინანსება ხდება გასაშუალოებული ტარიფის მეშვეობით – ერთი სეანსის ღირებულება 90 ლარი.

პერიტონიალური დიალიზის შემთხვევაში ერთი სეანსის ღირებულება 12,50 ლარი.

ტრანსპლანტაციის ოპერაცია ფინანსდება გასაშუალოებული ტარიფის მეშვეობით. ერთი ოპერაციის ღირებულება შეადგენს 14 947.0 ლარს.

2008 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 10 243.7 ლარით. ქედან 150 000 ლარი – თირკმლის ტრანსპლანტაცია.

საანგარიშო პერიოდში საქართველოში დაფიქსირდა 6 506 შემთხვევა, აქედან 5 811 - ჰემოდიალიზის სეანსი. 695 - პერიტონეალური დიალიზი. ტრანსპლანტაციის 6 შემთხვევა.

ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ონკოლოგიური პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

მუხლი 2. პროგრამის ამოცანა

პროგრამის ამოცანაა ონკოლოგიური პაციენტებისთვის ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა.

მუხლი 3. პროგრამის მოსარგებლები და კომპონენტები

1. პროგრამის მოსარგებლები არიან საქართველოს მოქალაქეები პროგრამის კომპონენტების შესაბამისად:

	პროგრამის კომპონენტი	მოსარგებლები
1	ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკა და მკურნალობა	პროგრამის მოსარგებლები არიან 60 წლის და მეტი ასაკის საქართველოს მოქალაქეები, გარდა «სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის» და «სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატების ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის» მოსარგებლებისა, ასევე "საქართველოს საჯარო სკოლებისა და პროფესიული სწავლების ცენტრების მასწავლებლების, საჯარო სკოლების ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალისა და ზოგიერთი დაწესებულების აღმზრდელთა ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გადასაცემი სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 21 ნოემბრის №6256 დადგენილებით განსაზღვრული მოსარგებლები.
2	ნეიროონკოლოგიურ დაავადებათა სტაციონარული მკურნალობა	

3	ონკოპემატოლოგიურ პაციენტთა მკურნალობა	
4	ონკოინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარული პალიატიური მზრუნველობა.	<p>პროგრამის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები, გარდა «სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის» და «სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატების ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის» მოსარგებლეებისა, ასევე „საქართველოს საჯარო სკოლებისა და პროფესიული სწავლების ცენტრების მასწავლებლების, საჯარო სკოლების ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალისა და ზოგიერთი დაწესებულების აღმზრდელთა ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გადასაცემი სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 21 ნოემბრის №6256 დადგენილებით განსაზღვრული მოსარგებლეებისა.</p>

2. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

მუხლი 4. მომსახურების მოცულობა პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს:

- ა) სპეციალისტების კონსულტაციას;
- ბ) პაციენტების დიაგნოსტიკურ მომსახურებას;
- გ) ქირურგიულ ოპერაციებს;
- დ) ქიმიო, ჰორმონო და სხივურ თერაპიას;
- ე) ონკოინკურაბელური პაციენტების სტაციონარულ მოვლას და სიმპტომურ მკურნალობას.

მუხლი 5. დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების წესი

1. საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში ფინანსდება მომსახურების თითოეული ეპიზოდი. სამედიცინო მომსახურების ეპიზოდები წარმოდგენილია 14 ჯგუფად.



თითოეული ჯგუფის ყველა ეპიზოდისთვის დაწესებულია ერთი საშუალო ღირებულება. თანაგადახდის წილი განისაზღვრება ნოზოლოგიური ჯგუფების მიხედვით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

N	ნოზოლოგიური ჯგუფი	ტარიფი (ლარი)	სახელმწიფო პროგრამით ასანაზღაურებელი	პაციენტის თანაგადახდა
1	თორაკალური	1660	1110	550
2	თავკისერი	1530	1050	480
3	მამოლოგია	1130	750	380
4	პროქტოლოგია	1760	1210	550
5	აბდომინური	1760	1210	550
6	უროლოგია	1760	1210	550
7	რბილი ქსოვილები	1130	750	380
8	გინეკოლოგია	1530	1050	480
9	ნეირონკოლოგია	3000	2000	1000
10	სხივური თერაპია (გინეკოლ)	1410	1050	360
11	სხივური თერაპია (ამბ,სტაც.)	965	740	225
12	ქიმიოთერაპია მედიკ. გარეშე (ამბ,სტაც.)	150	120	30
13	ქიმიოთერაპია მედიკ. გარეშე, ონკოჰემატოლოგია (ამბ,სტაც.)	200	150	50
14	კრიოთერაპია	120	70	50



2. ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის კომპონენტის ფარგლებში დიაგნოსტიკაში, პაციენტის თანაგადახდა შეადგენს ფაქტიური ხარჯის 30%-ს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება “ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს” (შემდგომში – “სააგენტო”) მიერ ასანაზღაურებელი თანხა, იანგარიშება ასევე ფაქტიური ხარჯიდან (70%), მაგრამ არაუმეტეს 150 ლარისა. კომპიუტერული ტომოგრაფიის შემთხვევაში - არაუმეტეს 160 ლარისა. კომპიუტერული ტომოგრაფია აუცილებელია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცხრილის №1; 2; 4; 5; 6; 8; 9; 10; 11 და 12 პუნქტებისათვის.

3. ნეიროონკოლოგიური ნოზოლოგიების ვერიფიკაცია ხორციელდება ასევე კომპიუტერულ ტომოგრაფიული ან ბირთვულ-მაგნიტურ-რეზონანსული კვლევების საფუძველზე.

4. ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის კომპონენტის ფარგლებში, იმ ნოზოლოგიების მკურნალობის თანხები, რომლებიც ითვალისწინებენ პათომორფოლოგიური და ბიოფსიური მასალების კვლევას, ანაზღაურდება მხოლოდ სათანადო დასკვნის არსებობის შემთხვევაში. თუ შეუძლებელია მორფოლოგიური ვერიფიკაციის მიღწევა, ანაზღაურება ხორციელდება კლინიკურად დადასტურებული ონკოლოგიური დიაგნოზების მიხედვით, მაგრამ ასეთ შემთხვევათა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს საერთო შემთხვევათა 5%-ს. ოპერაციის შემდგომი

პათომორფოლოგიური გამოკვლევების ტარიფების ანაზღაურება და თანაგადახდა ხორციელდება იგივე წესით, როგორც ამ მუხლის მე-2 პუნქტში.

5. ქიმიოთერაპია და/ან ჰორმონოთერაპია – პროგრამით ანაზღაურდება ქიმიოთერაპიის და/ან ჰორმონოთერაპიის ღირებულების 50%, არაუმეტეს 250 ლარისა.

6. ქიმიოთერაპია (ონკოჰემატოლოგია) - ანაზღაურდება ქიმიოთერაპიის ღირებულების 50%, არაუმეტეს 200 ლარისა.

7. ონკოინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარული პალიატიური მზრუნველობა – ანაზღაურების ერთეულია - საწოლდღე, რომლის ღირებულება შეადგენს 75 ლარს. პროგრამით ფინანსდება მომსახურების ღირებულების 70%.

მუხლი 6. პროგრამის მომსახურების შესყიდვა და განხორციელების მექანიზმები

1. მომსახურებას განხორციელებს შესაბამისი ლიცენზიის მფლობელი, სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის მსურველი ყველა სამედიცინო დაწესებულება.

2. ონკოინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარული პალიატიური მზრუნველობის კომპონენტით განსაზღვრული მომსახურების შესყიდვა განხორციელდება “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების პირობებს, ანგარიშსწორების ფორმებსა და წესს, განსაზღვრავს სააგენტო და ინფორმაციის სახით წარუდგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში – “სამინისტრო”).

4. პროგრამის განხორციელების მექანიზმებთან დაკავშირებით სააგენტო უზრუნველყოფს მოსახლეობისა და სამედიცინო დაწესებულებების დროულ და ადექვატურ ინფორმირებულობას.

მუხლი 7. პროგრამის ბიუჯეტი

“საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 3 883.4 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

კომპონენტი	წლიური ბიუჯეტი (ათასი ლარი)
ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკა და მკურნალობა	3202.8
ნეიროონკოლოგიურ დაავადებათა სტაციონარული მკურნალობა	258.8
ონკოჰემატოლოგიურ პაციენტთა მკურნალობა	271.8
ონკოინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარული პალიატიური მზრუნველობა	150.0
სულ	3883.4

2008 წლის სტაციონარული დახმარების სახელმწიფო პროგრამით ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ხორციელდება:

- ონკოლოგიურ ავადმყოფთა სტაციონარული, მათ შორის დიაგნოსტიკა და ონკოინკურაბელური პაციენტების პალიატიური მკურნალობა.
 - ნეიროონკოლოგიურ პაციენტთა მკურნალობა
 - მოზრდილთა ონკოჰემატოლოგიური მკურნალობა
- კომპონენტის ბიუჯეტი 2008 წელს შეადგენს 5 920 000 ლარს.



ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სახელმწიფო პროგრამით ფიქსირდება 604 ნოზოლოგიური კოდი. ზღვრული ფასების დიდი ვარიაციულობის გამო მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება ხდება დასრულებული მკურნალობის შემთხვევაში გარკვეული ნოზოლოგიურ ჯგუფებზე საშუალო ფასების შესაბამისი ტარიფით (ფაქტიური დანახარჯის მიუხედავად) თანაგადახდის პრინციპით, პროგრამით ფინანსდება შემთხვევის ღირებულების 70%. თანაგადახდა არ ეხება ბავშვთა კონტიგენტს (18 წლამდე).

2008 წლის საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში დაფიქსირდა 23 728 შემთხვევა. აქედან შემთხვევათა რაოდენობის დიდი წილი მოდიოდა დიაგნოსტიკურ კვლევაზე – 19 301 შემთხვევა. ქიმიოთერაპიის შემთხვევათა რაოდენობა იყო 4 399, სხივური თერაპიის – 819. ნეიროონკოლოგიურ დაავადებათა სტაციონარული 120 შემთხვევა.

პალიატიურ მზრუნველობის 174 შემთხვევა. ოპერაციული მკურნალობის 1 586 შემთხვევა და ბოლოს ონკოჰემატოლოგიის 1 326 შემთხვევა, ბავშვთა ონკოჰემატოლოგიის 53 შემთხვევა ხშირ ნოზოლოგიურ კოდებს აღნიშნულ პერიოდში მიეკუთვნება საშვილოსნოს ტანის ავთვისებიანი სიმსივნე და სარძევე ჯირკვლის ავთ. სიმსივნე.

რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი
 პროგრამის მიზანია მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება რეფერალური მომსახურების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

მუხლი 2. პროგრამის ამოცანა

პროგრამის ამოცანაა მოსახლეობისთვის რეფერალური სამედიცინო დახმარების გაწევა.

მუხლი 3. პროგრამის მოსარგებლები

1. პროგრამის მოსარგებლები არიან საქართველოს მოქალაქეები და საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირები, გარდა "სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის" მოსარგებლებისა, "საქართველოს საჯარო სკოლებისა და პროფესიული სწავლების ცენტრების მასწავლებლების, საჯარო სკოლების ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალისა და ზოგიერთი დაწესებულების აღმზრდელთა ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გადასაცემი სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 21 ნოემბრის №256 დადგენილებით განსაზღვრული მოსარგებლებისა და "სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატი მწერლების ჯანმრთელობის დაზღვევის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2008 წლის 7 მაისის N118 დადგენილებით განსაზღვრული მოსარგებლებისა.

2. პროგრამის მოსარგებლები არიან ასევე ამ პროგრამის მეოთხე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირები.

3. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

მუხლი 4. პროგრამის კომპონენტები და მომსახურება

1. პროგრამის კომპონენტები:

ა) სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და

სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების კომპონენტი;

ბ) საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების უმაღლეს თანამდებობის პირთა და მათი ოჯახის წევრთა გეგმიური და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ხარჯების ანაზღაურება;

გ) ზოგიერთი ყოფილი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის და მათი ოჯახის წევრთა სამედიცინო დაზღვევის კომპონენტი;

დ) რეფერალური დახმარება

დ.ა) ადგილზე რეფერალური ბრიგადის მიერ კონსულტაცია;

დ.ბ) გართულებული შემთხვევისას შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში პირის ტრანსპორტირება;

ე) საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების უმაღლეს თანამდებობის პირთა და საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი საზღვარგარეთის ქვეყნების დელეგაციის ხელმძღვანელ პირთა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება;

ვ) საგანგებო სიტუაციებისა და სპეციალური ოპერაციების დროს შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი სამედიცინო ბრიგადის თანხლება და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „დ“, „ე“, „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული კომპონენტების განხორციელებას კოორდინაციას გაუწევს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და რეჟიმის დეპარტამენტი.

მუხლი 5. სახელმწიფო შესყიდვა

1. პროგრამით განსაზღვრული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
2. ხელშეკრულების პირობებს, ანგარიშსწორების ფორმებსა და წესს განსაზღვრავს სააგენტო და ინფორმაციის სახით წარუდგენს სამინისტროს.

მუხლი 6. დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების წესი

1. პროგრამის ფარგლებში კონტრაქტირებულ დაწესებულებებს საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში დაუფინანსდება სამედიცინო მომსახურების თითოეული ეპიზოდი.
2. კრიტიკული და გადაუდებელი მდგომარეობების რეფერალური შემთხვევების მართვის, ადგილზე კონსულტაციის და პაციენტთა ტრანსპორტირების დაფინანსება ხორციელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და რეჟიმის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის გათვალისწინებით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

დაუზუსტებელი სამედიცინო დახმარება რეანიმობილით (კონსულტაცია, სტაბილიზაცია, ტრანსპორტირება)	თბილისი (საშ 25 კმ)	ხარჯი 150 კმ ზონაში	ხარჯი 250 კმ ზონაში
ღირებულება	79	373	553

დაუზუსტებელი სამედიცინო დახმარება (კონსულტაცია)	თბილისი (საშ 25 კმ)	ხარჯი 150 კმ ზონაში	ხარჯი 250 კმ ზონაში
ღირებულება	44,4	266,4	444

3. ამ პროგრამის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კომპონენტის ფინანსური ანგარიშსწორება ხორციელდება გლობალური ბიუჯეტის მეთოდით.

მუხლი 7. პროგრამის ბიუჯეტი

“რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამისთვის”
2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნე-
ბები განისაზღვრა 19 684 000,0 ლარით, შემდეგი
ცხრილის შესაბამისად:

N	კომპონენტი	თანხა
1.	რეფერალური დახმარება	1 600 000
2.	საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების უმაღლეს თანამდებობის პირთა და საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი საზღვარგარეთის ქვეყნების ხელმძღვანელთა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება	468 360
3.	სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ სხვა განსაზღვრულ შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების კომპონენტი	16 910 640
4.	საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების უმაღლეს თანამდებობის პირთა და მათი ოჯახის წევრთა გეგმიური სამედიცინო დახმარების ხარჯების ანაზღაურება	300 000
5.	საგანგებო სიტუაციებისა და სპეციალური ოპერაციების დროს შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი სამედიცინო ბრიგადის თანხლება და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა	400 000
6.	ზოგიერთი ყოფილი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის და მათი ოჯახის წევრთა სამედიცინო დაზღვევის კომპონენტი	5 000
	სულ	19 684 000

კომპონენტი ითვალისწინებს ქვეყნის მოსახლეობისათვის დროული და მაღალხარისხიანი გადაუდებელი სტაციონარული დახმარების ფინანსურ და გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას.

პროგრამა უზრუნველყოფს მოსახლეობას უწყვეტი სამედიცინო მომსახურებით გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პირობებში კრიტიკული მდგომარეობების, კატასტროფებისა და საგანგებო სიტუაციების დროს.

2008 წელს საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში ქვეკომპონენტების განაწილების სიხშირე საქართველოს მასშტაბით მოცემულია ცხრილში:

№	ღონისძიება	შემთხვევათა რაოდენობა
1	კრიტიკული და გადაუდებელი მდგომარეობების რეფერალ შემთხვევების მკურნალობა	7 069
2	მაღალი რისკის ორსულთა, მელოგინეთა და ახალშობილ სამედიცინო მომსახურება, მძიმე შემთხვევების მართვა. 200 ლარი თანაგადახდა პაციენტის მხრიდან	2 359
3	ბავშვთა სამედიცინო დახმარება	1 102
4	ინდივიდუალური დახმარება	2 888

მოსახლეობის ურბენტული მომსახურების პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია 60 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

მუხლი 2. პროგრამის ამოცანა

პროგრამის ამოცანაა 60 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობისათვის ხარისხიანი და ხელმისაწვდომი გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების უზრუნველყოფა.

მუხლი 3. პროგრამის მოსარგებლები

1. პროგრამის მოსარგებლედ განისაზღვრება 60 წლის და მეტი ასაკის საქართველოს მოქალაქეები;
2. პროგრამის სერვისით ვერ ისარგებლებენ „სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის“ და ”სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატების ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის” მოსარგებლები, ასევე „საქართველოს საჯარო სკოლებისა და პროფესიული სწავლების ცენტრების მასწავლებლების, საჯარო სკოლების ადმინისტრაციულ-

ტექნიკური პერსონალისა და ზოგიერთი დაწესებულების აღმზრდელთა ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გადასაცემი სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 21 ნოემბრის №256 დადგენილებით განსაზღვრული მოსარგებლები.

3. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

მუხლი 4. მომსახურების მოცულობა

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს:

- ა) კრიტიკული მდგომარეობების მართვას (პირველი 6 დღე);
- ბ) ცხრილი №1-ში მოცემული დაავადებების მართვას;
- გ) პათომორფოლოგიური და ბიოფსიური მასალების კვლევას.

მუხლი 5. დაფინანსების მეთოდოლოგია, ანაზღაურების წესი

1. პროგრამა ფარავს ცხრილი №1-ში მოცემული ნოზოლოგიების გადაუდებელი ჰოსპიტალური მკურნალობის ხარჯების 75 %-ს, თანაგადახდა შეადგენს 25% - ს.

2. თანაგადახდას არ ექვემდებარება მაღალმთიან და კონფლიქტურ რეგიონებში არსებულ სამედიცინო დაწესებულებებში განხორციელებული მომსახურება.

3. მომსახურება ჯგუფდება კატეგორიების მიხედვით და ფინანსდება ნოზოლოგიური ჯგუფისათვის დადგენილი საშუალო ღირებულებით ცხრილი №1 -ის შესაბამისად.

4. კრიტიკული მდგომარეობებისათვის განსაზღვრულია ერთი საწოლდღის გასაშუალოებული ტარიფი, რომელიც განსხვავებულია სამედიცინო დაწესებულებებისა და რეანიმაციული სამსახურების შესაბამისად. კრიტიკული მდგომარეობების დროს, სახელმწიფო მთლიანად უზრუნველყოფს

პირველი 6 დღის მკურნალობის საფასურის ანაზღაურებას. არსებულ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით პირველი 6 დღის განმავლობაში საშუალო საწოლდაყოვნება არ აღემატება 3.5 დღეს. ადმინისტრირების გაუმჯობესების, სტაციონარში პაციენტების უსაფუძვლოდ დაყოვნების სტიმულის არარსებობის და ანგარიშსწორების სიმარტივის მიზნით, პირველი 6 დღისთვის განისაზღვრება შემთხვევის გასაშუალოებული ტარიფი, რომელიც უდრის ერთი საწოლდღის ფასი (თბილისი, ქუთაისი – 622,0, ბათუმი, რუსთავი, ზუგდიდი, გორი – 541,0, სხვ – 503,0 ლარი) X 3.5-ზე. პირველი 6 დღის განმავლობაში გაწეული ხარჯები პაციენტის მხრიდან თანაგადახდას არ ექვემდებარება. 6 დღის შემდეგ მკურნალობის ხარჯები ანაზღაურდება პაციენტის მიერ;

5. იმ ნოზოლოგიების მკურნალობის თანხები, რომლებიც ითვალისწინებენ პათომორფოლოგიური და ბიოფსიური მასალების კვლევას, ანაზღაურდება მხოლოდ სათანადო დასკვნის არსებობის შემთხვევაში;

მუხლი 6. მომსახურების შესყიდვა და განხორციელების მექანიზმები:

1. მომსახურებას განხორციელებს შესაბამისი ლიცენზიის მფლობელი სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის მსურველი ყველა სამედიცინო დაწესებულება.
2. პათომორფოლოგიური და ბიოფსიური მასალების კვლევის მომსახურების შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;
3. პროგრამის განხორციელების მექანიზმებთან დაკავშირებით სააგენტო უზრუნველყოფს მოსახლეობისა და სამე-



დიცინო დაწესებულებების დროულ და ადეკვატურ ინფორმირებულობას.

4. ხელშეკრულების პირობებს, ანგარიშსწორების ფორმებსა და წესს, განსაზღვრავს სააგენტო და ინფორმაციის სახით წარუდგენს სამინისტროს.

მუხლი 7. ბიუჯეტი

”2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 6275,1 ათასი ლარით. მათ შორის პათომორფოლოგიური და პათანატომიური კვლევები – 50,0 ათასი ლარით.

ცხრილი №1

მოზრდილთა

ნოზოლოგიათა ჯგუფები			საშუალო ღირებულება		
			თბილისი, ქუთაისი	ბათუმი, გორი, რუსთავი ზუგდიდი	სხვა
1	ალერგოლოგია				
	ა)	ასთმა	303	296	279
		J45 ასთმა (შეტევათა სტადია)			
	ბ)	ალერგია ანაფილაქსიური მდგომარეობისა და ხორხის შეშუპების განვითარების ტენდენციით	79	77	74
		L50 ურტიკარია			
		T78.1 საკვების მავნე რეაქციები (კვებითი ალერგია)			
		T78.3 ანგიონევროზული შეშუპება			
		T78.4 ალერგია, დაუზუსტებელი (ალერგია მწერის ნაკბენზე)			
		T88.7 წამლის ან მედიკამენტის დაუზუსტებელი გვერდითი ეფექტი (წამლისმიერი ალერგია)			
		T80.6 სხვა შრატისმიერი რეაქცია (შრატისმიერი დაავადება)			
2	ანგიოლოგია				

ოპერაციები ზოგადი გაუტკივარებითა და ინტენსიური თერაპიით		3321	3202	
I74	არტერიების ემბოლია და თრომბოზი			
I87	ვენების სხვა დაზიანებები (ფილტვების არტერიების ემბოლია ან მისი განვითარების საშიშროება)			
S35.0	მუცლის აორტის დაზიანება			
S35.1	ქვედა ღრუ ვენის დაზიანება			
I71.3	მუცლის აორტის ანევრიზმა, გამსკდარი			
I71.5	თორაკოაბდომინური ანევრიზმა გასკდომით			
I72	სხვა ანევრიზმა (გამსკდარი):			
S15.0	საძილე არტერიის დაზიანება			
S25.1	უსახელო ან ლავიწქვეშა არტერიის დაზიანება			
S25.3	უსახელო ან ლავიწქვეშა ვენის დაზიანება			
S35.5	თეძოს სისხლძარღვების დაზიანება (თეძოს არტერიის ან ვენის)			
S45.0	ილღის არტერიის დაზიანება			
S45.1	მხრის არტერიის დაზიანება			
S75.0	ბარძაყის არტერიის დაზიანება			
S75.1	ბარძაყის ვენის დაზიანება მენჯ-ბარძაყის სახსრის და ბარძაყის დონეზე			
S85.0	მუხლის არტერიის დაზიანება			
3	გასტროენტეროლოგია	202	198	
K72.0	ღვიძლის მწვავე და ქვემწვავე უკმარისობა (ენცეფალოპათია)			
4	ენდოკრინოლოგია	241	233	223
E27.2	ადისონური კრიზი			
E05.5	თირეოიდული კრიზი			
E10.1	ინსულინდამოკიდებული შაქრიანი დიაბეტი, კეტოაციდოზით			
E11.1	ინსულინდამოუკიდებელი შაქრიანი დიაბეტი, კეტოაციდოზით			
E03.5	მიქსედემური კომა			
5	კარდიოლოგია			
ა)	ინფარქტი	581	554	300
I21	მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი			
ბ)	სხვა კარდიოლოგიური პათოლოგიები	147	143	115
I20.0	არასტაბილური სტენოკარდია			
I50.1	მარცხენა პარკუჭოვანი უკმარისობა, მწვავე			
I50.9	გულის მწვავე უკმარისობა			
I47	პაროქსიზმული ტაქიკარდია			
I48	წინაგულების ფიბრილაცია და თრთოლვა			

6	კარდიოქირურგია		1732	1609	1455
	S26	გულის დაზიანება			
7	ნევროლოგია				
	ა)	ცნს-ის ანთებითი ავადმყოფობები/ეპიზოდური და პაროქსიზმული დარღვევები/პოლინეიროპათიები	419	396	362
	G61	ანთებითი პოლინეიროპათია			
	G04	ენცეფალიტი, მიელიტი და ენცეფალომიელიტი			
	G45	გარდამავალი ცერებრული იშემიური შეტევები და მასთან დაკავშირებული სინდრომ.			
	G46	თავის ტვინის სისხლძარღვოვანი სინდრომები ცერებროვასკულური დაავადებების დროს			
	ბ)	ეპილეფსია/ნერვ-კუნთოვანი ავადმყოფობები/ნერვული სისტემის სხვა დაზიანებები	124	116	105
	G70	ყასტკენია გრავის (მძიმე მიასთენია) და სხვა ნერვკუნთოვანი დაზიანებანი			
	G40	ეპილეფსია (სერიული გულყრები)			
	G93.2	კეთილთვისებიანი ინტრაკრანიალური ჰიპერტენზია			
	G93.6	ცერებრული შეშუპება			
8	ნეიროქირურგია				
	ა)	ოპერაციული მკურნალობა/ინტენსიური თერაპია	2482	2196	2147
	S06.4	ეპიდურული სისხლჩაქცევა			
	S06.5	ტრავმული სუბდურული სისხლჩაქცევა			
	S06.6	ტრავმული სუბრაქნოიდული სისხლჩაქცევა			
	S06.8	სხვა ინტრაკრანიალური დაზიანებანი			
	I61	ინტრაცერებრული სისხლჩაქცევა			
	S14	ზურგის ტვინის და ნერვების დაზიანება კისრის დონეზე			
	G93.5	თავის ტვინის კომპრესია			
	G93.6	ცერებრული შეშუპება			
	S12	კისრის მალეზის მოტეხილობა			
	S22.0	გულმკერდის მალის მოტეხილობა			
	T09	ხერხემლის და ტორსის სხვა მოტეხილობები, დაუზუსტებელ დონეზე			
	S02.1	ქალას ფუძის მოტეხილობა			
	S06.3	თავის ტვინის ფოკალური დაზიანება			
	S02.0	ქალასარქველის მოტეხილობა			
	G91	ჰიდროცეფალია			
	ბ)	სკალპის ღია ჭრილობა/ შერყევა	161	150	134

	S01.0	სკალპის ღია ქრილობა			
	S06.0	შერყევა			
9	ნეფროლოგია		222	212	185
	N17	თირკმლის მწვავე უკმარისობა			
	N00	მწვავე ნეფრიტული სინდრომი			
	N10	მწვავე ტუბულო-ინტერსტიციული ნეფრიტი [მწვავე პიელონეფრიტი]			
10	ოტოლარინგოლოგია				
	ა)	IV სირთულის ოპერაციები	1132	1128	
	J01	მწვავე სინუსიტი (ქალასშიდა ან ორბიტალური გართულებებით)			
	G06.0	ოტოგენური ინტრაკრანიალური აბსცესი და გრანულომა			
	H83.0	ლაბირინთიტი			
	H66.4	შუა ყურის მწვავე ანთება (გართულებული მასტოიდიტით)			
	H66.2	ქრონიკული ეპიტიმპანურ-ანტრალური ჩირქოვანი შუა ოტიტი (გართულებული ფაციალისით)			
	H66.3	სხვა ქრონიკული ჩირქოვანი შუა ოტიტი (გართულებული ფაციალისით)			
	ბ)	III სირთულის ოპერაციები	197	173	147
	S19.9	კისრის დაუზუსტებელი დაზიანებები			
	J05	მწვავე ობსტრუქციული ლარინგიტი და ეპიგლოტიტი			
	T17.3	უცხო სხეული ხორხში			
	T17.4	უცხო სხეული ტრაქეაში			
	J39.0	რეტროფარინგეული და პარაფარინგეული აბსცესი			
	გ)	უკანა ტამპონადა	117	110	91
	R04.0	ცხვირიდან სისხლდენა (უკანა ტამპონადით)			
11	ოფთალმოლოგია		384	362	
	S05.2	თვალის დაფლეთა და გახეთქვა თვალსშიდა ქსოვილის გამოვარდნით ან დაკარგვით			
	S05.3	თვალის დაფლეთა თვალსშიდა ქსოვილის გამოვარდნის ან დაკარგვის გარეშე			
	S05.5	თვალის კაკლის გამჭოლი ქრილობა უცხო სხეულით			
	S05.6	თვალის კაკლის გამჭოლი ქრილობა უცხო სხეულის გარეშე			
	S05.7	თვალის ავულსია			
12	პულმონოლოგია		379	366	348
	J12-J18	პნევმონია (საშუალო და მძიმე მიმდინარეობის)			
	J44.1	ფილტვების ქრონიკული			

		ობსტრუქციული დაავადება გამწვავებული, დაუზუსტებელი			
13	რევმატოლოგია		249	233	
	ა) შემაერთებელი ქსოვილის სისტემური დაზიანებები (IIb -III ხ აქტივობა, შინაგანი ორგანოების გამოხატული დაზიანებით)				
	M30	კვანძოვანი პერიარტერიიტი და მასთან დაკავშირებული მდგომარეობები			
	M31	ნეკროზით მიმდინარე სხვა ვასკულოპათიები			
	M32	სისტემური წითელი მგლურა			
	M33	დერმატოპოლიმიოზიტი			
	M34	სისტემური სკლეროზი			
	M35	შემაერთებელი ქსოვილის სხვა სისტემური დაზიანებები			
	ბ) ანთებითი პოლიათროპათიები და სპონდილოპათიები (აქტივობა II-III ხ.)				
	M05	სეროპოზიტიური რევმატოიდული ართრიტი			
	M06	სხვა რევმატოიდული ართრიტი			
	M07	ფსორიაზული და ენტეროპათიური ართროპათიები			
	M08	იუვენილური ართრიტი			
	M10	პოდაგრა (გამწვავებული, გართულებული პოდაგრული სტატუსით)			
	M11	სხვა კრისტალური ართროპათიები (პიროფოსფატული და კალციუმის ფოსფატებით განპირობებული ართროპათიები)			
	M12	სხვა სპეციფიკური ართროპათიები			
	M45	მანკილოზირებელი სპონდილიტი			
	M46	სხვა ანთებითი სპონდილოპათიები			
	გ) მწვავე რევმატიზმი და გულის ქრონიკული რევმატული ავადმყოფობები (აქტიური ფაზა(რევმატული ცხელება), კომისუროტ.და პროტეზირ. შემდგ.პერიოდი)				
	I00-I02	მწვავე რევმატიზმი			
	I05-I09	გულის ქრონიკული რევმატული ავადმყოფობები			
14	ტოქსიკოლოგია				
	ა) ალკოჰოლის ტოქსიური ეფექტი		68	64	60
	T51.0	ალკოჰოლის ტოქსიური ეფექტი			
	T51.9	სპირტის ტოქსიური ეფექტი, დაუზუსტებელი			
	ბ) სამკურნალწამლო საშუალებებით, მედიკამენტებით, ბიოლოგიური ნივთიერებებით მოწამვლა და ძირითადად არასამედიცინო დანიშნულების სუბსტანციების ტოქსიური ეფექტები		194	175	87

T36	სისტემური ანტიბიოტიკებით მოწამვლა			
T39	არაოპიოიდური ანალგეზიური, სიცხის დამწვევი და ანტირევმატიული საშუალებებით მოწამვლა			
T42.3	ბარბიტურატებით მოწამვლა			
T42.4	ბენზოდიაზეპინებით მოწამვლა			
T43	ფსიქოტროპული წამლებით მოწამვლა			
T45	უპირატესად სისტემური და ჰემატოლოგიური საშუალებებით მოწამვლა			
T46	მოწამვლა იმ ნივთიერებებით, რომლებიც პირველად მოქმედებენ გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე			
T51.1	მეთანოლის ტოქსიური ეფექტი			
T52	ორგანული გამხსნელების ტოქსიური ეფექტი			
T53	ალიფატური და არომატული ნახშირწყალბადების ჰალოგენური დერივატების ტოქსიური ეფექტი			
T54	კოროზიული ნივთიერების ტოქსიური ეფექტი			
T56	ლითონების ტოქსიური ეფექტი			
T57	სხვა არაორგანული ნივთიერებების ტოქსიური ეფექტი, დაუზუსტებელ			
T58	ნახშირჟანგის (ნახშირბადის მონოქსიდის) ტოქსიური ეფექტი			
T59	სხვა აირების, ჰვარტლისა და გამონაბოლქვის ტოქსიური ეფექტები			
T60	პესტიციდების ტოქსიური ეფექტი			
T62	საკვების სახით მიღებული სხვა მავნე ნივთიერებების ტოქსიური ეფექტი			
T63	შხამიან ცხოველთან კონტაქტის ტოქსიური ეფექტი			
T64	აფლატოქსინისა და საკვების სხვა მიკოტოქსინური მინარევების ტოქსიური ეფექტი			

15	უროლოგია			
ა)	ოპერაციები ზოგადი გაუტკივარებით	1480	1317	1294
N20	თირკმლის და შარდსაწვეთის კენჭები (ობსტრუქციული უროპათია)			
S37.0	თირკმლის დაზიანება			
Q62	თირკმლის მენჯის თანდაყოლილი ობსტრუქციული დეფექტები და შარდსაწვეთის თანდაყოლილი			

	მანკები (ობსტრუქციული უროპათია)			
	S37.8	მენჯის სხვა ორგანოების დაზიანება		
	S38.0	გარეთა სასქესო ორგანოების ზეწოლით დაზიანება		
	N40	პროსტატის ჰიპერპლაზია (შარდის შეკავება, მაკროჰემატურია)		
	S37.2	შარდის ბუშტის დაზიანება		
	S37.1	შარდსაწვეთის დაზიანება		
	S36.8	სხვა ინტრააბდომინალური ორგანოების დაზიანება (პერიტონეუმის, რეტროპერიტონეუმის)		
	ბ)	ოპერაციები ადგილობრივი გაუტკივარებით	452	406
	N23	დაუზუსტებელი თირკმლის ქვალი (ცისტოსკოპია, კათეტერიზაცია, ურეთერორენოსკოპია)		
	N47	პარაფიმოზი		
	N44	სათესლე ჯირკვლის შემოგრება		
	R33	შარდის შეკავება (ოპერაცია-ეპიცისტოსტომია)		
	გ)	ოპერაცია-ტროაკარული ეპიცისტოსტომია/კათეტერიზაცია	72	66
	R33	შარდის შეკავება		58
16	ქირურგია			
	ა)	IV სირთულის ოპერაციები	2650	2463
	A48.0	აიროვანი განგრენა		2227
	S25.0	გულმკერდის აორტის დაზიანება		
	S25.1	უსახელო ან ლავინქვეშა არტერიის დაზიანება		
	S25.2	ზედა ღრუ ვენის დაზიანება		
	S25.3	უსახელო ან ლავინქვეშა ვენის დაზიანება		
	S25.4	ფილტვის სისხლძარღვების დაზიანება		
	S25.7	გულმკერდის სისხლძარღვების მრავლობითი დაზიანება		
	S26	გულის დაზიანება		
	S27.3	ფილტვის სხვა დაზიანებები (სისხლის მასიური დანაკარგით)		
	S27.4	ბრონქის დაზიანება		
	S27.5	ტრაქეის გულმკერდის ნაწილის დაზიანება		
	K56	გაუვალობა და ნაწლავის ობსტრუქცია		
	S27.7	გულმკერდის შიგა ორგანოთა მრავლობითი დაზიანება		
	S27.8	სხვა დაუზუსტებელი გულმკერდის შიგა ორგანოთა დაზიანება		
	K25	კუჭის წყლული (გართულებული დეკომპენსირებული)		



	პილოროსტენოზით)			
K26	თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული (გართულებული დეკომპენსირებული პილოროსტენოზით)			
K27	პეპტიური წყლული, დაუზუსტებელი ლოკალიზაციით (გართულებული დეკომპენსირებული პილოროსტენოზით)			
S36.7	მუცლის ღრუს ორგანოების მრავლობითი დაზიანება			
K85	მწვავე პანკრეატიტი			
S36.1	ღვიძლის ან ნაღვლის ბუშტის დაზიანება			
S36.2	პანკრეასის დაზიანება			
K65.0	მწვავე პერიტონიტი (გავრცელებული)			
ბ) III სირთულის ოპერაციები		1276	1172	1046
A48.0	აიროვანი განგრენა (კერის რადიკალური მოცილებით)			
S36.0	ელენთის დაზიანება			
S36.9	მუცლის ღრუს დაუზუსტებელი ორგანოს დაზიანება			
K43.0	ვენტრალური ჩაჭედილი თიაქარი განგრენის გარეშე			
K45.0	მუცლის სხვა დაზუსტებული ჩაჭედილი თიაქარი განგრენის გარეშე (დიდი ზომის ან გიგანტური)			
I70.2	კიდურების არტერიების ათეროსკლეროზი [ათეროსკლეროზული განგრენა]			
E10.5	ინსულინდამოკიდებული შაქრიანი დიაბეტი პერიფერიული ცირკულაციური გართულებებით [დიაბეტური განგრენა]			
E11.5	ინსულინდამოუკიდებელი შაქრიანი დიაბეტი პერიფერიული ცირკულაციური გართულებებით [დიაბეტური განგრენა]			
E12.5	კვების დარღვევასთან დაკავშირებული შაქრიანი დიაბეტი პერიფერიული ცირკულაციური გართულებებით [დიაბეტური განგრენა]			
E13.5	სხვა დაზუსტებული შაქრიანი დიაბეტი პერიფერიული ცირკულაციური გართულებებით [დიაბეტური განგრენა]			
E14.5	დაუზუსტებელი შაქრიანი დიაბეტი			



	პერიფერიული ცირკულარული გართულებებით [დიაბეტური განგრენა]		
K25.1	კუჭის წყლული პერფორაციით		
K26.1	თორმეტგოჯას წყლული პერფორაციით		
S36.3	კუჭის ტრავმული დაზიანება		
S36.4	წვრილი ნაწლავის ტრავმული დაზიანება		
S36.5	კოლინჯის ტრავმული დაზიანება		
S36.6	სწორი ნაწლავის ტრავმული დაზიანება		
S36.9	მუცლის ღრუს დაუზუსტებელი ორგანოს ტრავმული დაზიანება		
K65.0	მწვავე პერიტონიტი (ადგილობრივი)		
K80.0	ნაღვლის ბუშტის კენჭი მწვავე ქოლეცისტიტით (ჩირქოვანი, განგრენული)		
K81.0	მწვავე ქოლეცისტიტი (ჩირქოვანი, განგრენული)		
K40.4	საზარდულის თიაქარი განგრენით		
K41.4	ბარძაყის ცალმხრივი ან დაუზუსტებელი თიაქარი განგრენით		
K42.1	ჭიპის თიაქარი განგრენით		
K43.1	ვენტრალური თიაქარი განგრენით		
K45.1	მუცლის სხვა დაუზუსტებული თიაქარი განგრენით		
K40.3	საზარდულის ცალმხრივი ან დაუზუსტებელი ჩაჭედილი თიაქარი განგრენის გარეშე		
K41.3	ბარძაყის ცალმხრივი ან დაუზუსტებელი ჩაჭედილი თიაქარი განგრენის გარეშე		
K42.0	ჭიპის ჩაჭედილი თიაქარი განგრენის გარეშე		
K43.0	ვენტრალური ჩაჭედილი თიაქარი განგრენის გარეშე		
K45.0	მუცლის სხვა დაუზუსტებული ჩაჭედილი თიაქარი განგრენის გარეშე		
S27.0	ტრავმული პნევმოთორაქსი		
S27.1	ტრავმული ჰემოთორაქსი		
S27.2	ტრავმული ჰემოპნევმოთორაქსი		
S27.3	ფილტვის სხვა დაზიანებანი		
S27.6	პლევრის დაზიანება		
S27.9	დაუზუსტებელი გულმკერდის შიგა ორგანოთა დაზიანება		
S29	გულმკერდის სხვა და დაუზუსტებელი დაზიანებანი		
K92.0	ჰემატემეზისი		

	K92.1	მელენა			
	K92.2	გასტროინტესტინური სისხლდენა, დაუზუსტებელი			
გ)	II სირთულის ოპერაციები და კონსერვატული მკურნალობა		647	595	508
	K35.9	მწვავე აპენდიციტი, დაუზუსტებელი (კატარული, ფლეგმონური, განგრენული)			
	K92.0	ჰემატემეზისი (კონსერვატული მკურნალობა)			
	K92.1	მელენა (კონსერვატული მკურნალობა)			
	K92.2	გასტროინტესტინური სისხლდენა, დაუზუსტებელი (კონსერვატული მკურნალობა)			
	K85	მწვავე პანკრეატიტი (კონსერვატული მკურნალობა)			
17	ყბა-სახის ქირურგია				
	ა)	ოპერაციები ზოგადი გაუტკივარებით	619	573	
	S02.4	ზედაყბის მოტეხილობა			
	S02.7	მრავლობითი მოტეხილობები, რომლებიც მოიცავს ქალასა და სახის ძვლებს			
	S02.6	ქვედაყბის მოტეხილობა			
	K10.2	ყბების ანთებითი დაზიანებები (პირის ღრუს ფსკერის, ყბისქვეშა, ყბაყურსადეჭი, საფეთქლის მიდამოს ფლეგმონები, რეტროზულბალური და ხახის გვერდ.მიდამ. აბსცესები)			
	ბ)	ოპერაციები ზოგადი გაუტკივარების გარეშე	208	190	
	S02.4	ყვრიმალისა და ზედაყბის ძვლების მოტეხილობა			
	S02.6	ქვედა ყბის მოტეხილობა			
	S02.7	მრავლობითი მოტეხილობები, რომლებიც მოიცავს ქალასა და სახის ძვლებს			
18	ჰემატოლოგია				
	ა)	თერაპია	654		
	D69.3	იდიოპათიური თრომბოციტოპენიური პურპურა			
	D61.8	სხვა დაზუსტებული აპლაზიური ანემიები			
	D55	ფერმენტული დარღვევებით გამოწვეული ანემიები			
	D56	თალასემია			
	D57	ნამგლისებურ-უჯრედული ანემია			
	D58	სხვა მემკვიდრული ჰემოლიზური ანემიები			
	D59	შემენილი ჰემოლიზური ანემიები			
	ბ)	ქირურგიული მკურნალობა - სპლენექტომია	1260		
	D69.3	იდიოპათიური			

		თრომბოციტოპენიური პურპურა		
	C94.7	სხვა დაზუსტებული ლეიკემია		
	D55	ფერმენტული დარღვევებით გამოწვეული ანემიები		
	D56	თალასემია		
	D57	ნამგლისებურ-უჯრედული ანემია		
	D58	სხვა მემკვიდრული ჰემოლიზური ანემიები		
	D59	შემენილი ჰემოლიზური ანემიები		

№ ღონისძიება შემთხვევათა რაოდენობა 1 კრიტიკული და გადაუდებელი მდგომარეობების რეფერალური შემთხვევების მკურნალობა 7 0692 მაღალი რისკის ორსულთა, მელოგინეთა და ახალშობილთა სამედიცინო მომსახურება, მძიმე შემთხვევების მართვა. მ.შ. 200 ლარი თანაგადახდა პაციენტის მხრიდან 2 3593 ბავშვთა სამედიცინო დახმარება 1 1024 ინდივიდუალური დახმარება 2 8889 მოსახლეობის ურგენტული მომსახურების პროგრამის ფარგლებში ხორციელდებოდა:

- 15 წელს ზემოთ ქვეყნის მოსახლეობის ურგენტული სტაციონარული დახმარება.

ანაზღაურება ხორციელდება ფინანსდება ნოზოლოგიური ჯგუფისათვის დადგენილი საშუალო ღირებულებით. პროგრამული ღონისძიებების მაღალი რესურსტევადობის გამო გამოყენებულია მოსახლეობის მხრიდან თანაგადახდის პრინციპი 25%-ის ოდენობით. თანაგადახდა არ ვრცელდება მაღალმთიანი რაიონის მოსახლეობაზე.

2008 წლის საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა 28 962 ურგენტული შემთხვევა, მ.შ. კრიტიკული მდგომარეობა 2 937 შემთხვევა, პათომორფოლოგიური და პათანატომიური კვლევები 7 254 შემთხვევა, ოპერაციული მკურნალობა 7 585, კარდიოლოგიური პათოლოგიები 4 181 შემთხვევა და სხვა 7 005 შემთხვევა.

კრიტიკული მდგომარეობისათვის განსაზღვრულია 6 დღის ხარჯების 100% ანაზღაურება. გასაშუალებული

ტარიფი 2008 წელს განისაზღვრება ერთი საწოდების ფასის კოეფიციენტით-3.5.

გულის ქირურგიის სახელმწიფო პროგრამა

გულის ქირურგიის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს გულის თანდაყოლილი და შექნილი მანკებით დაავადებული პაციენტების კარდიოქირურგიულ მკურნალობას, აორტოკორონარულ შუნტირებას, ანგიოპლასტიკას.

მოზრდილთა კარდიოქირურგიული მკურნალობა ფინანსდება შემთხვევის ღირებულების 70%-ით. თანაგადახდა შეადგენს 30 %-ს.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 8 000.0 ათასი ლარით.

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირებულია ოპერაციული მკურნალობა თანდაყოლილი მანკების დროს 239 შემთხვევა, შექნილი მანკების დროს 845 შემთხვევა.

შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა სტაციონარული მომსახურების სახელმწიფო პროგრამა

2008 წელის სახელმწიფო პროგრამით აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში ხორციელდება:

- ექიმის კონსულტაცია, პაციენტის სამედიცინო განათლება;
- სტაციონარულ პირობებში გამოკვლევები;
- პირველი ექვსი თვის განმავლობაში პერორალური ანტიდიაბეტური პრეპარატებით უზრუნველყოფა.

დაფინანსების ერთეულია მკურნალობის ეპიზოდი, რომელიც შეადგენს 170 ლარს.



„2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად კომპონენტის ბიუჯეტი განისაზღვრა 280.0 ათასი ლარით.

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირებულია 1 516 შემთხვევა.

ჰემოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ჰემოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

მუხლი 2. პროგრამის ამოცანა

პროგრამის ამოცანაა ჰემოფილით დაავადებულთა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებით უზრუნველყოფა

მუხლი 3. პროგრამის მოსარგებლეები

1. პროგრამის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები და საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირები.

2. პროგრამის მოსარგებლეთა იდენტიფიკაცია ხორციელდება „მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის“ (დანართი #2) „ჰემოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის“ ფარგლებში გაცემული პოლისების მიხედვით, რომელიც წარმოადგენს პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების ინსტრუმენტს.

მუხლი 4. მომსახურების მოცულობა

მომსახურების მოცულობა მოიცავს:

ა) ამბულატორიული მომსახურებას:

ა.ა) ექიმი/ჰემატოლოგის კონსულტაციას;

ა.ბ) სისხლდენებისა და სისხლჩაქცევების დროს სისხლის კომპონენტების, ჰემოსტატიკების და ფაქტორების ტრანსფუზიას;

ა.გ) გამოკვლევებს: სისხლის საერთო ანალიზი, გადამოწმება ინფექციური დაავადებების

ა.დ) მარკერებზე სწრაფ ტესტებზე B და C ჰეპატიტი;

ა.ე) ფაქტორებით უზრუნველყოფას გართულებულ შემთხვევებში და ჰოსპიტალიზაციების დროს;

ა.ვ) მე-8, მე-9 და ვილბრანდის ფაქტორების გამოკვლევას;

ა.ზ) თრომბოციტების ფუნქციურ გამოკვლევას.

ბ) სტაციონარული მომსახურებას:

ბ.ა) ჰემორაგიული დიათეზის შემთხვევებში ჰოსპიტალურ მომსახურებას;

ბ.ბ) ჰემოფილური ართროპათიით გამოწვეულ ორთოპედიულ მომსახურებას.

გ) „მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველ-ყოფის სახელმწიფო პროგრამის“ (დანართი #2) ფარგლებში შექმნილი ანტიჰემოფილური ფაქტორ კონცენტრატებისა და ანტიინჰიბიტორული პროთრომბინ კომპლექსის ბენეფიციართათვის მიწოდებას, რომელსაც უზრუნველყოფს ამ პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება.

დ) მოსარგებლეთა რეესტრის წარმოებას.

მუხლი 5. დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების წესი

დაფინანსება ხორციელდება გლობალური ბიუჯეტის პრინციპით.

მუხლი 6. მომსახურების შესყიდვა და განხორციელების მექანიზმები

1. მომსახურების შესყიდვა ხორციელდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.
2. პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია პროგრამით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში უზრუნველყოფს:
 - ა) რეესტრის წარმოებას,
 - ბ) ანგარიშგებას.
3. ხელშეკრულების პირობებს, ანგარიშსწორების ფორმებსა და წესს, სატენდერო პირობებს განსაზღვრავს სააგენტო და ინფორმაციის სახით წარუდგენს სამინისტროს.

მუხლი 7. პროგრამის ბიუჯეტი

"2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად კომპონენტის ბიუჯეტი განისაზღვრა 130,0 ათასი ლარით.

პროგრამის მიზანია ჰემოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით და დაავადებულთა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებით უზრუნველყოფა.

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 100.0 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში სულ დაფიქსირდა 628 შემთხვევა, აქედან 600 ამბულატორიული და 28 სტაციონარული მომსახურების.

პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა

ზოგადი ამბულატორიული მომსახურების კომპონენტი

პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის კომპონენტებია:

- ზოგადი ამბულატორიული დახმარება (ამბულატორიულ-პოლიკლინიკური მომსახურების კომპონენტი, საოჯახო მედიცინის ქვეკომპონენტი);
- პატიმართა და მსჯავრდებულთა კომისიური წესით შემოწმების უზრუნველყოფის კომპონენტი;
- ინკურაბელური პაციენტების პალიატიური მზრუნველობის კომპონენტი;
- დიაბეტიან ბავშვთა და მოზარდთა მკურნალობის კომპონენტი.

2008 წლის ბიუჯეტით აღნიშნული კომპონენტი განისაზღვრა 22 296 000 ლარით.

მომსახურების მოცულობაა:
ექიმთან/ექთანთან ვიზიტი, ახალი მოსარგებლის რეგისტრაცია და შეფასება, წელიწადში 4 ჯერ ვიზიტი მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთათვის და 11 მათთან გათანაბრებულ, ასევე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეთათვის, მუდმივად მწოლიარე პირთათვის. ონკოინკურაბელურ პაციენტებთან ბინაზე ვიზიტები, ბავშვებსა და მოზარდების განვითარებაზე მეთვალყურეობა, გავრცელებული ქრ.დაავადებების გამოვლენა, რეგისტრაცია და მართვა, იმუნაზაცია, ლაბორატორიული გამოკვლევები, დიაგნოსტიკური გამოკვლევები, სპეციალისტების კონსულტაცია, ორსულების, ფტიზიატრიული, ფსიქიატრიული და ენდოკრინული პაციენტების გამოვლენა, DOT-ს მკურნალობის უზრუნველყოფა. დროებითი შრომისუნარობის ფურცლების გაცემის პროცედურა, დოკუმენტაციის წარმოება, სასამართლო და სამართალდამცავი ორგანოებიდან მომართვის საფუძველზე ცნობების გაცემა, ქ.თბილისში ინკურაბელურ პაციენტთა ბინაზე პალიატიური მზრუნველობის განხორციელება, შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა და მოზარდთა და მათ

მშობელთა სამედიცინო განათლება, ლაბორატორიული გამოკვლევები, თვალის დაავადებათა გართულებები.

კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებებთან ხელშეკრულება ფორმდება სამედიცინო ჯგუფების/საოჯახო მედიცინის გუნდების იმ რაოდენობაზე, რომელიც განსაზღვრულია კომპონენტით, კერძოდ 2000 მოსახლეზე ერთი სამედიცინო ჯგუფი, ერთი პედიატრიული ჯგუფი – 800. საოჯახო მედიცინის ქვეკომპონენტის ფარგლებში ხელშეკრულებები ფორმდება იმ დაწესებულებებთან, რომლებიც მინიმუმ 75%-ით დაკომპლექტებულია საოჯახო მედიცინის გუნდებით. სხვა რაიონებსა და ქალაქებში ანაზღაურების ერთეულს წარმოადგენს სამედიცინო ბრიგადა.

სპეციალიზირებულ სამედიცინო ჯგუფის შემადგენლობაში ფინანსდება შემდეგი სპეციალისტები: ნევროლოგი, ენდოკრინოლოგი, ქირურგი, ორთოპედი (ბავშვთა), ონკოლოგი, ოტორინოლარინგოლოგი, ოფთალმოლოგი.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს მასშტაბით მონაცემები ასე გამოიყურება:

	ღონისძიება	9 თვე
1	ექიმის ვიზიტი ბინაზე	235 502
2	მედდის ვიზ. ბინაზე	550 088
3	სპეციალისტის კონსულტაც	118 162
4	მედდასთან ვიზიტი	484 487
5	პაციენტის ექიმთან ვიზიტი	1 975 966

რაც შეეხება საანგარიშო პერიოდში სშირ ლაბორატორიულ კვლევებს მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება.

	ღონისძიება	9 თვე
1	სისხლის საერთო ანალიზი	154 593
2	შარდის საერთო ანალიზი	102 254
3	გლუკოზა სისხლში	65 555
4	გლუკოზა შარდში	8 359
5	ექვ	40 578

2008 წლის პატიმართა და მსჯავრდებულთა კომისიური წესით შემოწმების უზრუნველყოფის ქვეკომპონენტით, დიაბეტიან ბავშვთა და მოზარდთა მკურნალობის კომპონენტით და ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობის კომპონენტით შემთხვევათა რაოდენობის განსაზღვრა შეუძლებელია, რადგან ხელშეკრულებით ანაზღაურდება მომსახურების სრული პაკეტი.

აივ ინფექცია/შიდსის აღრეული გამოვლენისა და მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია:

- ა) აივ-ინფექცია/ შიდსის გავრცელების შეფერხება;
- ბ) აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებულთათვის მკურნალობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მუხლი 2. პროგრამის ამოცანები

პროგრამის ამოცანებია:

- ა) აივ-ინფექცია/შიდსზე მაღალი რისკის ჯგუფის პირთა კონსულტირება და ტესტირება;
- ბ) აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებულთა უზრუნველყოფა ამბულატორიული მომსახურებით;
- გ) აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებულთა უზრუნველყოფა სტაციონარული მკურნალობით.

მუხლი 3. პროგრამის მოსარგებლეები

1. პროგრამის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები;

2. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

მუხლი 4. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა

1. აივ-ინფექცია/შიდსზე მაღალი რისკის ჯგუფის პირთა ნებაყოფლობით კონსულტირება და კვლევა, რომელიც გულისხმობს:

ა) აივ ასოცირებული მაღალი რისკის ქცევის მქონე პირთა აივ ინფექციაზე კონსულტირებას;

ბ) აივ ასოცირებული მაღალი რისკის ქცევის მქონე პირთა აივ ინფექციაზე ტესტირებას (სკრინინგული და კონფირმაციული გამოკვლევები);

გ) აივ ინფიცირებული დედის ახალშობილის ტესტირებას აივ ინფექციაზე სკრინინგული და კონფირმაციული (პოლიმერაზას ჯაჭვური რეაქცია) მეთოდებით.

2. აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებულთა უზრუნველყოფა ამბულატორიული მომსახურება, რომელიც გულისხმობს:

ა) პირველ ვიზიტს;

ბ) განმეორებით ვიზიტს;

გ) ოპორტუნისტული ინფექციების მკურნალობას და პროფილაქტიკას;

დ) ინსტრუმენტულ დიაგნოსტიკას;

ე) ანტირეტროვირუსული მკურნალობის მონიტორინგს;

ვ) ექიმის ვიზიტს პაციენტთან.

3. აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებულთა უზრუნველყოფა სტაციონარული მკურნალობით, რომელიც გულისხმობს:



ა) შიდს ინდიკატორული დაავადებების ლაბორატორიულ-ინსტრუმენტულ დიაგნოსტიკას და მკურნალობას;

ბ) აივ-ინფექცია/შიდსის თანმხლები დაავადებების (მაგ: ღვიძლის უკმარისობა და ა.შ) ლაბორატორიულ-ინსტრუმენტულ დიაგნოსტიკას და მკურნალობას.

მუხლი 5. მომსახურების შესყიდვა და განხორციელების მექანიზმები

1. პროგრამას ახორციელებენ საქართველოში ლიცენზირებული დაწესებულებები, რომლებსაც გააჩნიათ აივ-ინფექცია/შიდსის მკურნალობაზე შესაბამისი ლიცენზია. შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების პირობებს, ანგარიშსწორების ფორმებსა და წესს, განსაზღვრავს სააგენტო და ინფორმაციის სახით წარუდგენს სამინისტროს.

მუხლი 6. დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების წესი

1. მომსახურება ჯგუფდება კატეგორიების მიხედვით და ფინანსდება ნოზოლოგიური ჯგუფისათვის დადგენილი საშუალო ღირებულებით. პროგრამით გათვალისწინებული სერვისები ანაზღაურდება სრულად (არ ითვალისწინებს თანაგადახდას პაციენტის მხრიდან)

2. მაღალი რისკის ჯგუფების პირთა აივ-ინფექცია/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტირება და კვლევა



№	ღონისძიების დასახელება	ერთეულის ფასი ლარებში
1.	მაღალი რისკის ჯგუფების პირთა აივ ინფექციასა/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტირება და კვლევა	
1.1.	სისხლში აივ ანტისხეულების განსაზღვრა იმუნოფერმენტული ანალიზის მეთოდით	13.2
1.2.	სისხლში აივ ანტისხეულების განსაზღვრა სწრაფი/მარტივი მეთოდით	14.8
1.3.	ტესტის წინა კონსულტაცია	6
1.4.	ტესტის წინა კონსულტაციადა სისხლის აღება	7.62
1.5.	ტესტის შემდგომი კონსულტაცია	6
1.6.	ექიმის ვიზიტი პაციენტთან და კონსულტაცია	9.12
1.7.	ექიმის ვიზიტი პაციენტთან , კონსულტაცია და სისხლის აღება	11.1
2	სკრინინგული გამოკვლევით პოზიტიური ნიმუშების კონფირმაციული კვლევა	
2.1	სისხლში აივ ანტისხეულების განსაზღვრა იმუნობლოტინგის მეთოდით	116
2.2	სისხლიში აივ დნმ (რნმ) თვისობრივი განსაზღვრა პოლიმერიზაციის ჯაჭვური რეაქციის (პჯრ) მეთოდით	198.15

3. აივ ინფექცია/შიდსით დაავადებულთა უზრუნველყოფა
ამბულატორიული და სტაციონარული დახმარებით

№	მომსახურება	ერთეულის ფასი ლარებში
1	შიდსი(ამბულატორიული მომსახურება)	
1.1	პირველი ვიზიტი	400
1.2	განმეორებითი ვიზიტი	266
1.3	მკურნალობა	379
1.4	ინსტრუმენტული დიაგნოსტიკა	75
1.5	ანტირეტროვირუსული მკურნალობის მონიტორინგი	52
1.6	ექიმის ვიზიტი პაციენტთან	20
2	შიდსი (სტაციონარული მკურნალობა)	2 558

მუხლი 7. პროგრამის ბიუჯეტი

«საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ»
საქართველოს კანონის შესაბამისად, პროგრამის ბიუჯეტი
განისაზღვრა 2 000 000 ლარით, შემდეგი ცხრილის
შესაბამისად:

№	ღონისძიება	ბიუჯეტი (ლარებში)
1.	აივ-ინფექცია/შიდსით მაღალი რისკის ჯგუფის პირთა ნებაყოფლობითი კონსულტირება და კვლევა	418 880
2.	აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებულთა უზრუნველყოფა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებით	1 581 120
	სულ	2 000 000

2008 წლის სახელმწიფო პროგრამით აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში ხორციელდება:

- დიაგნოსტიკური მომსახურება;
- მკურნალობა.

„2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად კომპონენტის ბიუჯეტი განისაზღვრა 1 000 000 ათასი ლარით.

დიაგნოსტიკა მოიცავს პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებიდან ან სტაციონარიდან შემოსული დიაგნოზების დადასტურება, საჭიროების მიხედვით სპეციალისტების კონსულტაციები.

მკურნალობა მოიცავს ანტირეტროვირუსულ მკურნალობას, ოპორტუნისტულ დაავადებათა მკურნალობას, შესაბამისი მედიკამენტებით უზრუნველყოფას.

დაფინანსება მიმდინარეობდა ნოზოლოგიური ჯგუფისთვის დადგენილი საშუალო ღირებულებით.

2008 წლის იანვარ-აგვისტოში აღნიშნული პროგრამით მონაცემები წარმოდგენილია ცხრილში.

დახმარების სახე	შემთხვევათა რაოდენობა
აივ-ანტისხეულების განსაზღვრა	5 103
ტესტის წინა კონსულტაცია	3 675
ტესტის შემდგომი კონსულტაცია	3 615
ვიზიტი/კონსულტაცია	1 186
შიდსი სტაციონარი	157

სასწრაფო დახმარების სახელმწიფო პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია გადაუდებელი მდგომარეობების დროს გართულებებისა და ლეტალური გამოსავლის შემცირება.

მუხლი 2. პროგრამის ამოცანა

პროგრამის ამოცანაა მოსახლეობის უზრუნველყოფა უფასო, სრულყოფილი და ოპერატიული გადაუდებელი სამედიცინო დახმარებით.

მუხლი 3. მოსარგებლები

პროგრამის მოსარგებლები არიან საქართველოს მოქალაქეები, უცხოელები და საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირები.

მუხლი 4. მომსახურების მოცულობა და კომპონენტები

1. სასწრაფო სამედიცინო დახმარების კომპონენტი:

ა) სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის ვიზიტი პაციენტთან;

ბ) გადაუდებელი სამედიცინო დახმარება დანართი N191-ით და დანართი N192-ით განსაზღვრული მედიკამენტებით და სამედიცინო დანიშნულების საგნებით;

გ) საჭიროების შემთხვევაში ჰოსპიტალიზაცია;

დ) გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა კატასტროფების დროს;

2. პროგრამის მართვა ითვალისწინებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების მიწოდების ორგანიზებისათვის სარეტრანსილაციო (უკაბელო ალტერნატიული ინფორმაციის გადაცემათა სისტემა) სისტემათა ფუნქციონირებას.

მუხლი 5. მომსახურების შესყიდვა და განხორციელების მექანიზმები

1. მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მომსახურების

შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით;

2. მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით

3. ხელშეკრულების პირობებს, ანგარიშსწორების ფორმებსა და წესს, განსაზღვრავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება “ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო” (შემდგომში სააგენტო);

4. პროგრამა ხორციელდება ქ. თბილისის გარდა მთელი საქართველოს მასშტაბით.

5. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადებით და სპეციალიზებული სანიტარული ავტომობილებით დაკომპლექტება ხორციელდება შემდეგი დაანგარიშებით:

ა) 30 000 ა არაუმეტეს ერთი ბრიგადისა ყოველ მოსახლეზე;

ბ) არაუმცირეს ორი ავტომობილისა ყოველ მუნიციპალიტეტზე;

6. რიგ შემთხვევებში შესაძლებელია გამონაკლისის დაშვება გეოგრაფიული და ფიზიკური ხელმისაწვდომობის მაქსიმალური უზრუნველყოფის მიზნით.

7. პროგრამის მართვის ხარჯები ითვალისწინებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების მიწოდების ორგანიზებისათვის სარეტრანსლაციო (უკაბელო ალტერნატიული ინფორმაციის გადაცემათა სისტემა) მართვის სისტემასთან დაკავშირებული მომსახურების ღირებულების დაფარვას.

მუხლი 6. დაფინანსების მეთოდოლოგია, სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურების დაფინანსება ხორციელდება გლობალური ბიუჯეტის პრინციპით ცხრილის №N191 -ის შესაბამისად:

ხარჯი თვეში (ლარებში)	
ხელფასი	
დირექტორი	535
ექიმი	450
ექთანი	300
მძღოლი	265
დისპეჩერი	220
ბუღალტერი-მოლარე	200
დამლაგებელი-სანიტარი	140,4
სხვა ხარჯი	
მათ შორის (საწვავი, მედიკამენტები, კომუნალური, მობილური კავშირგაბმულობა, მანქანების მომსახურება და ოფისის ხარჯები)	2915

მუხლი 7 . ბიუჯეტი

"საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 18 740,5 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის მიხედვით:

(ათას ლარებში)

N	ლონისძიება	თანხა
ა)	სასწრაფო სამედიცინო დახმარების კომპონენტი	18 610,5
ბ)	პროგრამის მართვა	130, 0
	სულ	18 740,5

სასწრაფო დახმარების ბაზისური მედიკამენტების ნუსხა

დასახელება	დოზა	ერთეული	რაოდენობა
ტრანკვილიზატორები			
დიაზეპამი	10MG/2ML	ამპ	1
ქლორპრომაზინი	2.5%/1ML	ამპ	2
ცენტრალური მოქმედების ტკივილდამაყუჩებელი საშუალებები			
კეტოროლაკი	3% 1ML	ამპ	3
არანარკოტიკული, ტკივილგამაყუჩებელი და არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებები			
აცეტისალიცილის მჟავა	100MG	ტაბ	8
ბარალგინი	5 ML	ამპ	5
ნიმესულიდი	100MG	პაკეტი	5
დიკლოფენაკი ნატრიუმი	75MG/3ML	ამპ	5
პარაცეტამოლი	500MG	ტაბ	9
ადრენერგიულ სისტემაზე მოქმედი საშუალებები - ადრენოსტიმულატორები			
ადრენალინი	0.18% - 1ML	ამპ	10
ალერგიის საწინააღმდეგო საშუალებები			
დიმედროლი	1% 1ML	ამპ	1
ადგილობრივი ანესთეზიის საშუალებები			
ლიდოკაინი	2% /2ML	მლ	10
ლიდოკაინის აეროზოლი	10%	ბალონი	1
ბრონქების გასაფართოებელი საშუალებები			
ამინოფილინი საინექციო	250MG/10ML	ამპ	10
სალბუტამოლის სულფატი ინჰალ აეროზ	100MKG 200 დოზა	ბალონი	1
კარდიოტონური საშუალებები			
დოპამინი	50MG/5ML	ფლაკონი	10
სედატიური საშუალებები			
კორვალოლი	25ML	ფლაკონი	1
ანტიარითმიული საშუალებები			
ამიოდრონი	150MG/3ML	ამპ	5
სპაზმოლიტიკური საშუალებები			
დროტავერინის 3/ქ	2ML	ამპ	5
ანტიჰიპოტენზიური საშუალებები			
კოფეინი	10%1მლ	ამპ	10
დიურეზული საშუალებები			
ფუროსემიდი	20MG/2ML	ამპ	5
ღებინების და ღებინების საწინააღმდეგო საშუალებები			
მეტოკლოპრამიდი	10MG	ამპ	5
საფადარათო საშუალებები			
მაგნიუმის სულფატი	25%,5ML	ამპ	10



მეტეორიზმის საწინააღმდეგო საშუალებები			
გააქტივებული ნახშირი	250 MG	ტაბ	40
საშვილოსნოს მასტიმულირებელი საშუალებები			
ოქსიტოცინი	10 IU/1ML	ამპ	3
ჰემოსტატიკური საშუალებები			
ეტამზილატი	250MG 2ML	ამპ	5
გლუკოკორტიკოიდები და მინერალკორტიკოიდები			
დექსამეტაზონი	4MG/ML	ამპ	10
პრედნიზოლონი	30MG/ML	ამპ	6
პლაზმის შემცველი საშუალებები			
დექსტრანი	200ML	ფლაკ	2
პერიფერიულ ქოლინერგიულ სისტემაზე მოქმედი საშ.-ანტიქოლინესტერაზული სამკ. საშ.			
ნეოსტიგმინი	500MKG/ML	ფლაკონი	10
პერიფერიულ ქოლინერგიულ სისტემაზე მოქმედი საშუალებები-ქოლინობლოკატორები			
ატროპინი	0.1% 1ML	ამპ	10
პერიფერიულ ქოლინერგიულ სისტ.მოქმ. საშ.-ები-კურარეს მსგავსი მოქმედების მიორელაქსანტები			
სუქსამეთონიუმი	2% 5ML	ამპ	10
ანტისეპტიკური და სადეზინფექციო საშუალებები			
იოდინი	25% ხსნარი	1მლ	100
სადეზინფექციო საშუალებები (ლიზოფორმინი)		მლ	1000
სპირტი	96%	1მლ	100
ქლორჰექსიდინი	5% ხსნარი	1მლ	100
წყალბადის ზეჟანგი	3%/40ML	ფლაკონი	1
პანთენოლი		ბალონი	1
ინსულინის სხვადასხვა ტიპის პრეპარატები			
ინსულინი ხანმოკლე მოქმედების	400 IU/10 ML	ფლაკონი	1
სითხეები, ელექტროლიტები და დეზინტოქსიკაციური საშუალებები			
გლუკოზა,საინექციო ხსნარი იზოტონური	5%	1მლ	500
გლუკოზა,საინექციო ხსნარი ჰიპერტონული	40%/40მლ	ამპ	10
გლუკოზის ხსნარი	10%	მლ	500
ნატრ ბიკარბ საინექციო ხსნარი	4.8%/50ML	ფლაკონი	1
ნატრ ქლორ საინ. ხს 0,9% იზოტონური	ML	1მლ	1000
რინგერის ხსნარი	500ML	ფლაკ	2
რეჰიდრონი		პაკეტი	2
კალციუმის შემცველი პრეპარატები			
კალციუმის გლუკონატი	10%	ამპ	10
ნიტრატები			
გლიცერილი ტრინიტრატი	5MG/2ML	ამპ	10
გლიცერილი ტრინიტრატი -აეროზოლი	0.4MG	ც	1
ჟანგბადი		ლ	1500
საგულე გლიკოზიდები			
დიგოქსინი	0.025% 1ML	ამპ	1
კორგლიკონი	0.06% 1ML	ამპ	1
სტროფანტინი	0.05% 1ML	ამპ	1
ანტიკოაგულაციური საშუალებები			
ჰეპარინი	5000,10000 ერთ	ფლაკ	5
ანალეპტიური საშუალებები			
კორდიამინი	25%/2ML	ამპ	5

ნარკოტიკული ნივთიერებების ანტაგონისტები			
ნარკანი	0.4 მგ.-1.0	ამპ	1
ვიტამინები			
პირიდოქსინი	1% 1ML	ამპ	1
ბეტა-ბლოკერები			
პროპრანოლოლი	40 MG	ტაბ	10
აგფ ინჰიბიტორები			
კაპტოპრილი	25 MG	ტაბ	10
კალციუმის არხების ბლოკერები			
ვერაპამილი	2 ML	ამპ	5
ნიფედინი	40 MG	ტაბ	10

დანართი №19²

N	დასახელება	რაოდენობა
1	ამბუ ნაკრებით	1
2	არასტერილური ხელთათმანი	10
3	ბამბა არასტერილური	1
4	ლეიკოპლასტირი	2
5	ბინტი არასტერარასტერილური 7X14	5
6	ბინტი სტერილური 7X14	3
7	ცხვირის კანულა ჟანგბადის	2
8	დრენაჟის მილი	1
9	ელასტიური ბინტი	2
10	ერთჯერადი სკალპელი	2
11	ფოლესის კათეტერი 16ფრ.	1
12	გადასასხმელი სისტემა უფილტ.	1
13	გრძელი საიმობილიზაციო ფარი	1
14	ჰაერგამტარი (ნაკრები)	1
15	კისრის საყელო უნივერსალური	1
16	კრამერის არტაშანი	1
17	ლარინგიალური ნილაბი	1
18	მაკრატელი დიდი	1
19	ნაზოგასტრალური ზონდი N8	1
20	პერიფერიული ვენის კათეტერი 20G	3
21	პერიფერიული ვენის კათეტერი 24G	2
22	შპრიცი ერთჯერადი 10მლ	10
23	შპრიცი ერთჯერადი 20მლ	10
24	შპრიცი ერთჯერადი 2მლ	10
25	შპრიცი ერთჯერადი 5მლ	10
26	შპრიცი ერთჯერადი ინსულინის	10
27	სტერილური საფენი 4X4	2
28	თერმომეტრი	1
29	წნევის აპარატი ფონენდოსკოპით	1
30	ზეწარი საიზოლაციო ავდმყოფის ერთჯერადი	3

აღნიშნული პროგრამის მიზანს წარმოადგენს უდებელი მდგომარეობების დროს გართულებებისა და ლეტალური გამოსავლის შემცირება.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 16 184.3 ათასი ლარით.

საანგარიშო პერიოდის მონაცემები საქართველოსა და ქ.თბილისის მასშტაბით წარმოდგენილია ცხრილში:

რეგიონი	გამოძახება	პოსპიტალიზაცია	ცრუ	გვაში	გაუქმებული	დაგვიანება
საქართველო	780 092	63 345	2 044	3 269	*	*
თბილისი	198 411	33 856	465	2 239	3 375	4 507

* შენიშვნა – რეგიონებში დაგვიანებისა და გაუქმების დრო განსაზღვრული არ არის.

მოსახლეობის სპეციფიური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა

აღნიშნული პროგრამის მიზანია მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. 2008 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 9 597.7 ათასი ლარით.

ცხრილით წარმოდგენილია 2008 წლის იანვარ – აგვისტოს სტატისტიკური მონაცემები.

№	კომპონენტი	მედიკამენტის დასახელება	გაცემული მედიკამენტის რაოდენობა	მოსარგებლეთა პერსონიფიკაცია
1	დიაბეტით დაავადებულ მოზრდილ ავადმყოფთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი	ინსულატარდი	107058 ფლ.	13798
		აქტრაპიდი ფლ.	70445	
		ინს.ლანტუსი	5100ფლ.	
		ინს. ჰუმალოგი კარტრიჯი	1150 ფლ	

2	ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზარდთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი	აიმაფიქსი IX ფაქტორი	400 ფლ	269
		კოატე ანტიჰემ VIII ფაქტორი	161 ფლ.	
		ოპტივატი	1550 ფლ.	
3	ონკოინკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი	მორფინი	412614	
		MST კონსტიუნისი	2100 კოლ	
		რეცეპტის ბლანკი ფორმა №1	29650 წყვილი	
		ნარკოტიკული საშუალების დამადასტურებელი ცნობა	28000 ცალი	
4	ორგანოგადანერგითა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი	პროგრადი	1 მგ.-297 კოლ 0,5 მგ-50 კოლ.	94
		ცელცეპტი ნეორალი მიფორტიკი	250 კოლ. 3218 კოლ. 50 ფლ	
5	უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი	დესმოპრესინი მინირინი	4416 ფლ. 860 კოლ.	324
6	ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფის	ანტიარაბიული ვაქცინა	60795 კომპ.	
		ანტირაბიული ვაქცინა	60795 კომპ.	
7	ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა სამკურნალო საკვები დანამატით უზრუნველყოფის	MD მილი ფენიკეტონურია	1828 კოლ.	85
8	მუკოვისციდოზით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი	კრეონი	1500 კოლ.	70

ვეტერანთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამა

ვეტერანთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ბენეფიტები არიან ომის ვეტერანები, მათთან გათანაბრებული პირები და მათი ოჯახის წევრები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტში არსებულ საინფორმაციო ბაზაში.

პროგრამა ითვალისწინებს, როგორც ამბულატორიულ ასევე სტაციონარულ მომსახურებას. საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა 3 190 ამბულატორიული მომსახურება და 1 309 სტაციონარული მომსახურება.

ამბულატორიულად უფრო ხშირად მიმდინარეობდა სპეციალისტების კონსულტაცია, ოფთალმოლოგიური, ქირურგიული, სტომატოლოგიური, (ორთოპედიის გარეშე), ენდოკრინოლოგიური დახმარება. სტაციონარული მომსახურება მიმდინარეობდა (კვების ჩათვლით) უპირატესად გულსისხლძარღვთა სისტემის ჰიპერტონული დაავადებები, გულის იშემიური დაავადებები, მწ.ინფარქტი), ქირურგიული (ამპუტაციის ჩათვლით), გინეკოლოგიური და უროლოგიური დახმარება.

სამხედრო კალეზში ბასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო გამოკვლევის სახელმწიფო პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია საქართველოს სამხედრო ძალების შევსება ჯანმრთელი კონტიგენტით.

მუხლი 2. პროგრამის ამოცანა

პროგრამის ამოცანაა წვევამდელთა სამედიცინო გამოკვლევა სამხედრო ძალებში გაწვევის წინ.

მუხლი 3. პროგრამის მოსარგებლეები

1. პროგრამის მოსარგებლები არიან საქართველოს მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირები.

2. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

მუხლი 4. კომპონენტები და მომსახურების მოცულობა

1. პროგრამით განსაზღვრული მომსახურება სახელმწიფოს მიერ ფინანსდება სრულად

2. პროგრამის კომპონენტები და მომსახურების მოცულობა განსაზღვრულია შემდეგი ცხრილის შესაბამისად: ‘

კომპონენტები	მომსახურების მოცულობა
<p>1. სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა ამბულატორიული შემოწმების კომპონენტი</p>	<p>კომპონენტით განსაზღვრული მომსახურება სახელმწიფოს მიერ ფინანსდება სრულად</p> <p>ა) მუდმივმოქმედი სამხედრო სამედიცინო – საექსპერტო კომისიის მიერ შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება;</p> <p>ბ) დამატებითი სამედიცინო გამოკვლევების ჩატარების უზრუნველყოფა, კერძოდ;</p> <p>გ) სპეციალისტების კონსულტაცია (თერაპევტი, ოტორინოლარინგოლოგი, ქირურგი, ფსიქიატრი, დერმატოვენეროლოგი, ოფთალმოლოგი, სტომატოლოგი, ნევროპათოლოგი, ფთიზიატრი, ორთოპედ-ტრავმატოლოგი)</p> <p>დ) დამატებითი სამედიცინო გამოკვლევები</p> <p>დ.ა) სისხლის საერთო ანალიზი;</p> <p>დ.ბ) შარდის საერთო ანალიზი;</p> <p>დ.გ) ფიბროგასტროდუოდენოსკოპია;</p> <p>დ.დ) ელექტროკარდიოგრაფია;</p> <p>დ.ე) სისხლის ჯგუფის და რეზუსის განსაზღვრა;</p>



	<p>დ.ვ) ფლუოროგრაფია; დ.ზ) აივ ანტისხეულების (ანტიგენის) განსაზღვრა სისხლის შრატში სწრაფი/მარტივი მეთოდით; დ.თ) HBsAG განსაზღვრა სისხლის შრატში სწრაფი/მარტივი მეთოდით; დ.ი) HCV საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრა სისხლის შრატში სწრაფი/მარტივი მეთოდით; დ.კ) ათაშანგის დიაგნოსტიკა (ექსპრეს მეთოდით).</p>
<p>2. სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა დამატებითი სტაციონარული გამოკვლევების კომპონენტი</p>	

მუხლი 5. მომსახურების შესყიდვა და განხორციელების მექანიზმები

1. პროგრამით განსაზღვრული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.
2. ხელშეკრულების პირობებს, ანგარიშსწორების ფორმებსა და წესს პროგრამის შესაბამისად განსაზღვრავს სააგენტო და ინფორმაციის სახით წარუდგენს სამინისტროს.

მუხლი 6. დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების მექანიზმები

1. დაფინანსება ხორციელდება შესრულებული სამუშაოს მიხედვით.
2. ერთი წვევამდელის ამბულატორიული გამოკვლევის ღირებულება განისაზღვრება 53 ლარით.

მუხლი 7. პროგრამის ბიუჯეტი

„საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 1 200 000 ლარით, შემდეგი ცხრილის მიხედვით:



კომპონენტები	ბიუჯეტი (ათასი ლარებში)
1. სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა ამბულატორიული შემოწმების კომპონენტი	750.0
2. სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა დამატებითი სტაციონარული გამოკვლევის კომპონენტი	450.0
სულ	1 200.0

პროგრამის მიზანს წარმოადგენს სამხედრო ძალების შევსება ჯანმრთელი კონტიგენტით.

პროგრამა ითვალისწინებს შემდეგ კომპონენტებს: სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა ამბულატორიულ შემოწმების კომპონენტს და სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა დამატებითი სტაციონარული გამოკვლევების კომპონენტი.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზრვრა 700.0 ათასი ლარით.

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა 9 981 ამბულატორიული

შემოწმების შემთხვევა და 2819 დამატებითი სტაციონარული გამოკვლევების შემთხვევა.

სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატების ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა

მუხლი 1. მიზანი

პროგრამის მიზანია სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და

რუსთაველის პრემიის ლაურეატებისათვის (შემდგომში ბენეფიციარი) სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა.

მუხლი 2. ამოცანა

პროგრამის ამოცანაა ბენეფიციართათვის სადაზღვევო პრინციპებით მომსახურების მიწოდების ორგანიზება.

მუხლი 3. პროგრამის მოსარგებლები

პროგრამის მოსარგებლები არიან სახალხო არტისტები, სახალხო მხატვრები და რუსთაველის პრემიის ლაურეატები.

მუხლი 4. პროგრამით, მათ შორის სადაზღვევო ვაუჩერით განსაზღვრული მომსახურების მოცულობა

1. სადაზღვევო ვაუჩერით დაფინანსებული სამედიცინო დაზღვევის პირობები ითვალისწინებს ქვემოთ ჩამოთვლილი სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, რომელსაც დაფარავს მზღვეველი:

ა) ამბულატორიული მომსახურების ხარჯების ანაზღაურება:

ა.ა) ამბულატორიული მომსახურება (ოჯახის ექიმის ან უბნის ექიმის მიერ მიწოდებული მომსახურება); სპეციალისტების მიერ მიწოდებული ამბულატორიული მომსახურება, გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება; ოჯახის ექიმის, უბნის ექიმის, ექთნის მომსახურება ბინაზე საჭიროების შემთხვევაში;

ა.ბ) ექიმის დანიშნულებით ელექტროკარდიოგრაფიული, ექოსკოპიური და რენტგენოლოგიური გამოკვლევები, გეგმურ ქირურგიულ ჰოსპიტალიზაციასთან დაკავშირებული ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები;

ა.გ) ექიმის დანიშნულებით ამბულატორიულ დონეზე კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევები: სისხლის საერთო ანალიზი, შარდის საერთო ანალიზი და კრეატინი, გლუკოზა პერიფერიულ სისხლში, ორსულობის ტესტი, ჰემოგლობინი, განავლის ანალიზი ფარულ სისხლდენაზე;

ა.დ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (შშმპ) სოციალური ექსპერტიზისათვის, კერძოდ შშმპ-ს სტატუსის მისანიჭებლად საჭირო გამოკვლევები, გარდა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევებისა (კომპიუტერული ტომოგრაფია და ბირთვულ-მაგნიტურ-რეზონანსური გამოკვლევები);

ა.ე) ამბულატორიულ დონეზე ყველა სახის სამედიცინო ცნობებისა და რეცეპტების გაცემა (გარდა ფორმა №IV -100/ა

სამსახურის დაწყებასთან დაკავშირებული, შსს მომსახურების სააგენტოში ავტომობილის მართვის მოწმობისა და იარაღის შენახვის/ტარების უფლების მისაღებად წარსადგენი ცნობებისა);

ბ) სტაციონარული მომსახურების ხარჯების ანაზღაურება:

ბ.ა) გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება, მათ შორის გართულებულ ორსულობასთან დაკავშირებული ჰოსპიტალიზაცია;

ბ.ბ) გეგმური ქირურგიული ოპერაციები (მ.შ. დღის სტაციონარი), სადაზღვევო წლიური ლიმიტი 15 000 ლარი;

ბ.გ) ქიმიოთერაპიისა და სხივური თერაპიის ხარჯები; სადაზღვევო წლიური ლიმიტი 12 000 ლარი;

გ) მშობიარობასთან დაკავშირებული ხარჯები 400 ლარი.

2. სამედიცინო დაზღვევის პირობების შესაბამისად სადაზღვევო ვაუჩერით არ ანაზღაურდება ქვემოთ ჩამოთვლილი სამედიცინო მომსახურებებისათვის გაწეული ხარჯები:

ა) სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში შესაბამისი წლის სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ფარგლებში სხვა სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამებით დაფარული ხარჯები და მომსახურებები;

ბ) თერაპიული პროფილის გეგმური ჰოსპიტალური მომსახურება;

გ) სამედიცინო ჩვენების გარეშე, ექიმის დანიშნულების გარეშე მკურნალობა, თვითმკურნალობა;

დ) საზღვარგარეთ გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯები;

ე) სანატორიულ-კურორტული მკურნალობა;

ვ) ესთეტიკური ქირურგიის, კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობა;

ზ) სექსუალური დარღვევების, უშვილობის მკურნალობის ხარჯები;



თ) შიდსის, ქრონიკული ჰეპატიტის მკურნალობის ხარჯები
 ი) თუ სამედიცინო მომსახურების საჭიროება დადგა თვითდაზავების, ტერორისტულ აქტებში, კრიმინალურ აქტებში მონაწილეობის, ან ნარკოტიკული ზემოქმედების შედეგად;

კ) ტრანსპლანტაციის (გარდა ბროლის იმპლანტაციისა), აგრეთვე ეგზოპროთეზირების ხარჯები.

მუხლი 5. დაფინანსების მეთოდოლოგია

1. ვაუჩერის მეშვეობით მომსახურების შესყიდვა, ხოლო შემდგომ განაღდება (ანგარიშსწორების) პირობები რეგულირდება "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით.

2. სადაზღვევო ვაუჩერის განაღდება ხორციელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - "ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს" (შემდგომში სააგენტო) მიერ, იმ კერძო სადაზღვევო კომპანიებთან რომლებთანაც ვაუჩერის სანაცვლოდ იდება სადაზღვევო ხელშეკრულება.

3. ვაუჩერის განაღდებას ახდენს სააგენტო შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.

4. ვაუჩერის გასანაღდებლად სადაზღვევო ორგანიზაცია სააგენტოს წარუდგენს ინფორმაციას დაზღვეული პირის საიდენტიფიკაციო ნომრის, ვაუჩერის ნომრის და სადაზღვევო სერტიფიკატის ნომრების მითითებით; საჭიროების შემთხვევაში სააგენტოს მოთხოვნით სადაზღვევო ვაუჩერის ორიგინალს;

5. თითოეულ დაზღვეულზე გადასახდელი სადაზღვევო პრემია გამოითვლება საბაზისო პრემიის შესაბამისი კოეფიციენტის ნამრავლი.



6. 2009 წელს გაფორმებული ხელშეკრულებით დაზღვეულზე გათვლილი სტანდარტული სადაზღვევო ყოველწლიური შესატანი (პრემია) განისაზღვროს 180 ლარის ოდენობით (საბაზო პრემია).

7. სააგენტოს მიერ 2009 წელს გაფორმებული ხელშეკრულებით სადაზღვევო პრემიის გადახდა წარმოებს ყოველთვიურად ერთ დაზღვეულზე ვაუჩერის სტანდარტული ღირებულების ერთი მეთორმეტედის პრინციპით და შესაბამისი კოეფიციენტის გამოყენებით არა უგვიანეს თვის პირველი 10 სამუშაო დღისა:

- ა) 0-64 წწ. – 12,59 ლარი (კოეფიციენტი 0,839);
- ბ) 65 წელი და მეტი – 20,45 ლარი (კოეფიციენტი 1,363);

მუხლი 6. სადაზღვევო ორგანიზაციების ვალდებულებები

1. სადაზღვევო ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს ბენეფიციარების დაზღვევაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე ამასთან:

- ა) დაუშვებელია რაიმე მიზეზით ბენეფიციარისათვის დაზღვევაზე უარის თქმა;
- ბ) დაუშვებელია ბენეფიციარისათვის რაიმე მიზეზით დაზღვევის ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარის თქმა;
- გ) დაუშვებელია სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში რომელიმე ბენეფიციარისათვის სადაზღვევო ხელშეკრულების გაუქმება, ან აღებულ ვალდებულებებზე უარის თქმა;
- დ) დაუშვებელია რაიმე სახის დამატებითი სადაზღვევო შესატანის, ან სხვა გადასახადის დაწესება სადაზღვევო ორგანიზაციის ან მისი წარმომადგენლის მიერ ხელშეკრულების გაფორმების, გაგრძელების ან სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში.

2. მზღვეველს არა აქვს უფლება დაზღვეულს შესთავაზოს ამ პროგრამით განსაზღვრულ სადაზღვევო პირობებზე უარესი პირობები.

3. სადაზღვევო ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს

ბენეფიციარების სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა, ამასთან:

ა) სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლების კონტრაქტებისას მზღვეველმა უნდა უზრუნველყოს ამ პროგრამით განსაზღვრული გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის კრიტერიუმების დაცვა, კერძოდ: ამბულატორიული მომსახურება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ბ) არ უნდა არსებობდეს რაიმე ბარიერები და შეზღუდვები სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის არჩევაში დაზღვეულის მიერ გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების მიღების საჭიროების შემთხვევაში;

გ) გეგმური მომსახურების მიღებისას მოლოდინის პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს;

დ) სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულება არ უნდა მოიცავდეს ისეთ პირობებს, რომელიც დაზღვეულებისთვის შექმნის ბარიერებს დაზღვევით გათვალისწინებული დროული და ხარისხიანი მომსახურების მისაღებად;

ე) კომპანია ვალდებულია აანაზღაუროს ზარალი იმ შემთხვევაშიც, როცა მოლოდინის პერიოდის განმავლობაში რაიმე მიზეზით შეწყდა სადაზღვევო ხელშეკრულება.

ვ) სადაზღვევო კომპანიის მიერ გეგმიური ქირურგიული ოპერაციების ხარჯები ანაზღაურდება მხოლოდ მზღვეველის მიერ შერჩეულ ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებებში.

4. სადაზღვევო ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს თითოეულ დაზღვეულთან სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმება და თითოეული დაზღვეულისათვის გასცეს სადაზღვევო სერტიფიკატი.

5. სადაზღვევო ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს დაზღვეულების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

6. სადაზღვევო ორგანიზაცია ვალდებულია შექმნას დაზღვეულების საჩივრებისა და პრეტენზიების განხილვის შიდა პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს დაზღვეულის უფლებას შეუფერხებლად დაუკავშირდეს ან შეხვდეს კომპანიის წარმომადგენელს სადაზღვევო, ან სამედიცინო მომსახურებაში არსებული პრობლემების მოგვარების მიზნით.

7. თუ რომელიმე სადაზღვევო ორგანიზაცია რაიმე მიზეზის გამო ვერ ასრულებს დადგინლ წესებს ან ვალდებულებებს დაზღვეულების მიმართ, და არსებობს ამის შესახებ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება, მაშინ დაზღვეულები გადანაწილდებიან იგივე პროპორციით, რა პროპორციითაც არიან გადანაწილებული დანარჩენი დაზღვეულები სხვა კომპანიებს შორის.

8. ყოველთვის უნდა უგვიანეს მომდევნო თვის 10 რიცხვისა, სადაზღვევო ორგანიზაციამ სააგენტოში უნდა წარადგინოს:

- ა) სააგენტოს ინფორმაციის საფუძველზე ცვლილებები დაზღვეულთა სიაში;
- ბ) ინფორმაცია დაზღვეულებზე ზარალის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
 - ბ.ა) დაზღვეულის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, სადაზღვევო სერტიფიკატის ნომერი;
 - ბ.ბ) რა სამედიცინო მომსახურება ჩაიტარა – დიაგნოზი, სად (მიმწოდებლის დასახელება, მისამართი) და როდის (დაწყების და დამთავრების თარიღები);
 - ბ.გ) ზარალის ოდენობა (ლარობით) – მოთხოვნილი თანხა, დაზუსტებული თანხა, უკვე გადახდილი თანხა;
 - ბ.დ) განაცხადები, რომლის ანაზღაურებაზე უარი ეთქვა დაზღვეულს.

9. სადაზღვევო ორგანიზაციამ სააგენტოში წარადგინოს ვაუჩერის მეშვეობით დაზღვეული პორტფელის 12 თვის ტექნიკური რეზულტატი.

10. ინფორმაციის წარმოდგენის ფორმატს განსაზღვრავს სააგენტო.

11. ინფორმაციის მიწოდებისას და ფორმატის განსაზღვრისას დაცული უნდა იყოს დაზღვეულების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

მუხლი 7. პროგრამის ბიუჯეტი და მოქმედების ვადა

1. პროგრამის წლიური ბიუჯეტი განსაზღვრავს 2009 წლის 31 დეკემბრამდე ასანაზღაურებელი თანხების მოცულობას.

2. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 50,0 (ორმოცდაათი ათასი) ათასი ლარით.

საქართველოს მთავრობის №118 (07.05.2008წ) დადგენილების საფუძველზე საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს მოეწოდა სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატი მწერლების ჩამონათვალი (სულ 199), რის მიხედვითაც ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტომ დაბეჭდა და ბინაზე მიტანით დაარიგა საქართველოს მასშტაბით 180 უფასო სამედიცინო მომსახურების ვაუჩერი.

ვერ მოხერხდა შემდეგი მიზეზების გამო რამოდენიმე ვაუჩერის დარიგება: საქართველოში აღარ ცხოვრობს (2), არ დაიტოვა (2), გარდაცვლილი (1).

აღნიშნული კონტიგენტი გადაეზღვა: ჯი-პი-აი ჰოლდინგში - 43, ირაო - 30, იმედი ლ - 38, აი სი ჯგუფი 18, არქიმედე გლობალ ჯორჯია - 35, სახალხო დაზღვევა - 35.

თავი 1. სახელმწიფო და სოციალური პროგრამების
არსი და მათი ურთიერთობა სამედიცინო
ბაზართან ----- 3

თავი 2. საქართველოში რეგიონების მიხედვით მოქმედი
საწარმოების (მათ შორის ჯანდაცვისა და
სოციალური დახმარების) ძირითადი ეკონო-
მიკური მაჩვენებლები (2007, 2008 და 2009 წლის
10 თვის მასალები) ----- 20

თავი 3. ჯანმრთელების დაცვისა და სოციალური
დახმარების სახელმწიფო პროგრამების
დაფინანსება ----- 53

თავი 4. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო
პროგრამების დახასიათება და მიმართუ-
ლებები და დაფინანსების თავისებურებები - 65

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ხანდა-
ზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავ-
შვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის
სახელმწიფო პროგრამა ----- 65

სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის
სამედიცინო დახმარების პროგრამა ----- 66

ფსიქიატრიული მომსახურების სახელმწიფო პროგრამა -69

ფთიზიატრიული დახმარების სახელმწიფო პროგრამა - 70

ბავშვთა სამედიცინო დახმარების კომპონენტი ----- 84

სამეანო მომსახურების სახელმწიფო პროგრამა ----- 89

ორგანოთა და ქსოვილთა ტრანსპლანტაციის და
თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო
პროგრამა ----- 89

ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და
მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა ----- 95

რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამა -102

მოსახლეობის ურგენტული მომსახურების პროგრამა - 107

გულის ქირურგიის სახელმწიფო პროგრამა ----- 121

შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა
სტაციონარული მომსახურების სახელმწიფო
პროგრამა ----- 121

ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა
მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა ----- 122

პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა ----- 124

აივ ინფექცია/შიდსის ადრეული გამოვლენისა და
მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა ----- 127

სასწრაფო დახმარების სახელმწიფო პროგრამა ----- 132

მოსახლეობის სპეციფიური მედიკამენტებით
უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა -----138

ვეტერანთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო
პროგრამა ----- 140

სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო
გამოკვლევის სახელმწიფო პროგრამა ----- 140

სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და
რუსთაველის პრემიის ლაურეატების ჯანმრთელობის
დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა ----- 143

F 99.455
3

